ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 5 მაისი, 2020 №99 (8363) ფასი: 60 თეთრი

ცოტნე გამსახურდიას მკვლელობის მცდელობის საქმეზე გამოძიება დასრულდა

გვ.5

„ცოტნეს დინამიკა დადებითია. ნელ-ნელა წინ მივდივართ“

„გახარიას არჩევნებამდე მოხსნიან“

გვ.3

ლადო სადღობელაშვილი: „ოცნებამ ბოლო დროს ნახევარი მილიონი ხმა დაკარგა“



„ოცნების“ საარჩევნო კამპანიაში ნაღმებია ჩადებული“

გვ.2

კორნელი კაკაჩია: „ხელისუფლებას ჰგონია, რომ საპარლამენტო კინკლაობები ოპოზიციის წისქვილზე დაასხამს წყალს“

„ხელისუფლებას ქვეყანა ნინიას ბაღად აქვს გადაქცეული“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ჩრდილოკორეული ჟანრის აგიტაცია-პროპაგანდის ფარგლებში მთავრობა აყვავებულ ეკონომიკაზე საუბრობს. თურნავამ ამაყად გვითხრა, შარშან ეკონომიკა ყვაოდაო. ამ მშიერ ქვეყანაში მთავრობა არაფერს იკლებს“

მამუკა ტუსკაძე: „ქვეყნის მმართველობა დღეს გამყრელიძე-იმნაძის ხელშია“

გვ.4

გვ.4

ლევან ჩაჩუა: „ხელისუფლების წარმომადგენლები საფრთხეს ვერ გრძნობენ“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 108 ფაქტი გამოავლინა

გვ.5

გვ.5

პოლიციამ ზუგდიდში მომხდარი ტექნიკის მაღაზიის გაქურდვის ფაქტი გახსნა

დაკავებულია ორი პირი

ISSN 1987-9385

2 რატი იონათამიშვილი: „არჩევნები კონსტიტუციით დადგენილ ვადებში ჩატარდება“

3 კობახიძე: „26 მაისს მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება საეჭვოა“

5 კახა საბანაძე: „პირბადეების საქმის ჩემთვის დაბრალება სიცრუეა“

6 ბორის ჯონსონი: „ექიმები მზად იყვნენ, ჩემი გარდაცვალება გამოეცხადებინათ“

კორნელი კაკაჩია: „ოცნების“ საარჩევნო კამპანიაში ნაღმებია ჩადებული“

„ხელისუფლებას ჰგონია, რომ საპარლამენტო კინკლაობები ოპოზიციის წისქვილზე დაასხამს წყალს“

იაგო ნაცვლიშვილი

საქსტატის მონაცემებით, აპრილში ინფლაციის მაჩვენებელმა 6.9% შეადგინა. ფასების ზრდა შეინიშნება სურსათსა და ჯანდაცვის სფეროს პროდუქციაზე. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ფასების ზრდას პროგნოზირებს საქართველოს ეროვნული ბანკიც. ასეთი განცხადება რამდენიმე დღის წინ მისმა პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ გააკეთა.

რა როლი შეიძლება ჰქონდეს მმართველი გუნდის რეიტინგზე სოციალურ საკითხებს და როგორ შეიძლება ჩატარდეს საარჩევნო კამპანია პანდემიის კვალდაკვალ? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი **კორნელი კაკაჩია** საუბრობს.

– ცნობილი გახდა ინფლაციის მაჩვენებელი, აპრილის მაჩვენებელმა შეადგინა 6.9%. ამასთან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი საშუალოვადიან პერიოდში ასევე პროგნოზირებს ინფლაციას. რა გავლენას მოახდენს მმართველი გუნდის რეიტინგზე სოციალური საკითხები?

– მე მგონია, რომ ეს შესაძლოა იყოს ის ნაღმები, რომლებიც ჩადებული იყო „ქართული ოცნებისთვის“ წინასაარჩევნო პერიოდში. იქიდან გამომდინარე, რომ როგორც ყველამ ვიცით, ჯერჯერობით პანდემიის მართვასთან დაკავშირებით „ქართულ ოცნებას“ სერიოზული ჩავარდნა არ ჰქონია და ერთადერთი სერიოზული საფრთხე, რომელიც ემუქრება მმართველ პარტიასა და მის რეიტინგს, ეს არის პოსტკრიზისული პერიოდი, რომელიც არც ისე შორს არის. ამას ხალხი ჯერ კიდევ ვერ გრძნობს, იქიდან გამომდინარე, რომ რაღაც რეზერვები ჰქონდათ, მაგრამ, ვინც სამსახური დაკარგა, მათ შეექმნებათ მძიმე სოციალური პირობები. ეს უკვე გამოიწვევს გარკვეულ გულგატეხილობას, თუმცა, მნიშვნელოვანია, თუ როდის მოხდება ეს.

სავარაუდოდ, ეს იქნება წინასაარჩევნო პერიოდში და დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ გამოიყენებს ამას როგორც თვითონ „ქართული ოცნება“, ასევე ოპოზიცია, ანუ მნიშვნელოვანია ნარატივი, რომლის არგუმენტებს მიიღებს ამომრჩეველი.

– მთავრობისგან წარმოებს კამპანია, რომ რის შესაძლებლობასაც აძლევს ვითარება, იმის მაქსიმუმს აკეთებენ, ოპოზიციისგან კი სულ სხვაგვარი რეალობა იხატება. რომელი უფრო იმუშავებს ამომრჩეველზე?

– „ქართული ოცნების“ კამპანია დაახლოებით ასეთია, რომ ჩვენ ვცდილობდით, მაქსიმალურად დავხმარებოდით მოწყვლად ჯგუფებს და ჩვენ გავაკეთეთ ის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდაო, ეს იქნება ძირითადი ნარატივი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდაო, მაგრამ, ბუნებრივია, ეს დახმარება ყველას ვერ შეეხებოდა და უკმაყოფილო ჯგუფები იქნება, თუნდაც იმ 200-300-ლარიანი დახმარებების მიმართ, რომლებზეც ჯერ კიდევ გაურკვეველია კრიტერიუმები, როგორ გასცემენ.

რაღაც შანსი ოპოზიციასაც აქვს, რომ ახსნას, რა როგორ უნდა გაკეთებულიყო. თუ ოპოზიციას ექნება ძლიერი არგუმენტები, მისთვის უკეთესია. მარტო კრიტიკა საკმარისი არ არის და მან კონკრეტულად უნდა მოიყვანოს რიცხვები.

– გეგმა უნდა წარმოადგინოს ოპოზიციამ, თვითონ რას გააკეთებდა?

– დიახ, გეგმა უნდა წარმოადგინოს იმის შესახებ, თუ რა ვერ გაკეთდა და როგორ უნდა გაკეთებულიყო. ეს უფრო დამაჯერებელი იქნებოდა. ოპოზიციურმა ძალებმა საზოგადოებას უნდა დაანახონ, რომ მზად არიან ისინი, ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ. ეს უნდა დაანახონ ამომრჩეველს.

– ოპოზიცია სთავაზობს რაღაც ფორმატებს ხელისუფლებას, სთავაზობს მათ, დაუბრუნდნენ საპარლამენტო მუშაობას, თუმცა მმართველი გუნდი ფეხს ითრევს. რატომ?

– სიმართლე გითხრათ, ეგ შეკითხვა მეც გამიჩნდა. ალბათ, უფრო ერიდებიან ამას, იმიტომ რომ თვლიან, ეს მათთვის წამგებიანი იქნება. ალბათ, ჰგონიათ, რომ პარლამენტში კინკლაობები და ა.შ. ოპოზიციას არგებს და მის წისქვილზე ასხამს წყალს. აქედან გამომდინარე, ერიდებიან ამას და თვლიან, რომ მთავარია პანდემიასთან დაკავშირებით მენეჯმენტი და ის, თუ როგორ დამთავრდება ეს. ალბათ, ამიტომ არ უნდათ დამაზიანებელი ფაქტორი და ამიტომ ერიდებიან საპარლამენტო დებატებს, რომლისთვისაც ისინი მზად არ არიან.

– ხომ არ გამოჩნდა, რომ ეს ვითარება აწყობს მმართველ პარტიას და მას იყენებს საკუთარი დღის წესრიგისთვის, მაშინ როცა ოპოზიცია, ფაქტობრივად, თამაშგარე მდგომარეობაში რჩება?

– ზუსტად მაგას ვამბობ. „ოცნებას“ უნდა, რომ სოლიდურობა შეინარჩუნოს და არ სცალია პატარა საკითხების განსახილველად, თითქოს ეს არის მეათეხარისხოვანი, მაშინ როცა თვითონ საერთო ეროვნულ საქმეს არიან შეჭიდებული.

აქედან გამომდინარე, საკითხებს, რომლებსაც ოპოზიცია აყენებს – თანხების გამჭვირვალობა და ა.შ. არ აღიქვამენ სერიოზულად, რადგან ცდილობენ წარმოაჩინონ, რომ ეს არ არის ლეგიტიმური. თუმცა ამ თანხების გამჭვირვალობის საკითხი არის პარლამენტის ვალდებულება და მან უნდა მოსთხოვოს მთავრობას, წარმოადგინოს ეს.

– აღნიშნეთ, რომ სოციალური ფონი, შეესაძლოა, „ქართული ოცნებისთვის“ ნაღმი აღმოჩნდეს. ეს რაზეა დამოკიდებული – ოპოზიციის ქმედებებზე თუ საზოგადოება თავად მიხვდება ამას და ხელისუფლებას ეტყვის არას?

– ორივეზე. ორმხრივი მოძრაობა უნდა იყოს, როგორც საზოგადოებისგან, ისე ოპოზიციისგანაც. საზოგადოება როგორც ხვდებოდა ამას წინა პერიოდებში – 2012 წელს თუ 2003 წელს, როდესაც მმართველ ძალას დაკარგული აქვს რეიტინგი და ხალხს ვერაფერს სთავაზობს, მაშინ ხდება ეს. მეორე მხრივ, არის ოპოზიცია, რომლისგანაც უნდა მოდიოდეს ახალი ენერგია, ახალი იდეები... ხალხი დაღლილია მმართველი ძალისგან და, ამ დროს თუ არის ერთიანი ოპოზიციური ძალა, რომელშიც არიან მეტ-ნაკლებად ცნობადი სახეები, რომლებსაც აქვთ ხალხის ნდობა, მაშინ ჩნდება ასეთი ვითარება.

– ასეთი ძალა ჩანს ოპოზიციაში?

– სამწუხაროდ, ასეთი პრობლემა არსებობს. არ არსებობს ერთიანი ნარატივი. ვარდების რევოლუციის დროს შეიქმნა ასეთი ნარატივი, რომ შევარდნაძის ხელისუფლება არის კორუმპირებული. ის ვითარება მოქალაქეებისთვის იყო მიუღებელი და გაჰყვნენ ოპოზიციას.

2012 წელს იყო სხვა ნარატივი, რომ მმართველი ძალა ავტორიტარიზმისკენ წავიდა და ხალხი მზად იყო ცვლილებებისთვის, მაგრამ, რომ არ გამოჩენილიყო ბიძინა ივანიშვილი თავისი ფულით, მაშინ ეს საკითხი ასე ადვილად არ გადაწყდებოდა. ხშირად ეს საკითხები დაკავშირებულია ქარიზმატულ ლიდერებთან. საქართველოში ამომრჩეველი ენდობა ასეთ ძლიერ პიროვნებებს, რომელთა უკანაც ფულია ან გამოცდილება, პრესტიჟი და ა.შ. ასეთი რაღაც ჯერჯერობით არ ჩანს დღევანდელ ოპოზიციაში.

– საარჩევნო კამპანიის თვალსაზრისით რა გველოდება, როგორ შეიძლება, ჩატარდეს იმ ვითარებაში, რომელიც დღეს არსებობს მსოფლიოში?

– ეს არის ძალიან მძიმე საკითხი. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ სხვა ქვეყნებს, იქ როგორ ჩაატარებენ კამპანიებს. თუ აქამდე შეეძლოთ პარტიებს კარდაკარ სიარული, ამ პანდემიის ფონზე ცოტა შეცვლილია ვითარება. ახლა საკითხი დგას, რამდენად არიან ჩვენი პარტიები ამისთვის მზად და როგორი ტიპის შეხვედრებს მოაწყობენ, ონლაინ შეხვდებიან თუ რა სახით? აბსოლუტურად გადასაადგილებელია ყველაფერი. ახალი პირობები მოითხოვს გააზრებულ პოლიტიკას.

– ონლაინშეხვედრები ფართო მასებისთვის როგორ იმუშავებს?

– მაგას ვამბობ მეც, რამდენად იმუშავებს, ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი. აქ დაზარალდებიან ის პოლიტიკური პარტიები და ძალები, რომლებსაც არ აქვთ დიდი რესურსები. მმართველ პარტიას, არა მგონია, გაუჭირდეს, იმიტომ, რომ ტელევიზიები მეტ-ნაკლებად დაეხმარებიან, ამ თვალსაზრისით ოპოზიცია უფრო მეტად მოწყვლადია და მისი რესურსები ნაკლებია, მიუხედავად იმისა, რომ მის ნაწილსაც აქვს საკუთარი ტელევიზია, მაგრამ ყველას არ აქვს.

– ანუ ის პარტიები დაიჩაგრებიან, რომლებსაც ნაკლები რესურსი აქვთ?

– დიახ. ეს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმაც გვაჩვენა. იმ პარტიებს, რომლებსაც არ ჰქონდათ საკუთარი ტელევიზიები, ცოტა დაეკლდათ პარლამენტში შესასვლელად. მაგალითად, თავისუფალი დემოკრატები საარჩევნო ბარიერის გადალახვის ზღვარზე იყვნენ და სულ ცოტა დააკლდათ, რომ პარლამენტში შესულიყვნენ.

5 მაისიდან ბათუმსა და ქუთაისში შესვლა თავისუფალი გახდება

დღეიდან, 5 მაისიდან, ბათუმსა და ქუთაისში გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები მოიხსნება.

ამის შესახებ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განცხადება პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გააკეთა.

მისივე განმარტებით, ამ ეტაპზე შეზღუდვები დარჩება თბილისსა და რუსთავში გადაადგილებაზე, თუმცა პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ ამ ორ ქალაქთან დაკავშირებული საკითხიც კვირის ბოლომდე დადებითად გადაწყდება.

– რამდენიმე კვირის წინ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჩაგვეკეტა მსხვილი ქალაქები. 5 მაისიდან ისეთ ქალაქებში, როგორებიც არის ბათუმი და ქუთაისი, ყველა სახის შეზღუდვები გადაადგილებებზე მოიხსნება. დარჩება გარკვეული შეზღუდვები თბილისსა და რუსთავზე, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობასთან მომიჯნავე რაიონებში. თუმცა თბილისშიც და რუსთავშიც, ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე შესაბამისი გადაწყვეტილებები უახლოეს დღეებში იქნება მიღებული. ვფიქრობ, შესაძლებელია, კვირის ბოლომდე თბილისისა და რუსთავის გახსნის საკითხიც დადებითად გადაწყდეს, – განაცხადა გახარიამ.

მისივე თქმით, 5 მაისიდან სამშენებლო სექტორში მომუშავე და ასევე, სამშენებლო მასალების მწარმოებელი ყველა კომპანია მუშაობას განაახლებს.

5 მაისიდან ნებადართული იქნება ავტოსარემონტო კომპანიების მუშაობაც.

პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომპანიების შემოწმებები გაგრძელდება.

– გავცემთ შესაბამის ნებართვებს, რომ 5 მაისიდან მუშაობა განაახლოს სამშენებლო სექტორში მომუშავე ყველა კომპანიამ და ყველა იმ კომპანიამ, რომლებიც დაკავებული არიან სამშენებლო მასალების წარმოებით. ასევე, ყველა ის კომპანია, რომლებიც სხვადასხვა სახით დაკავშირებული არიან სამშენებლო ბიზნესთან, შეძლებენ მუშაობის განახლებას 5 მაისიდან.

აქ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ შემოწმებები, რომლებსაც ახორციელებს ჯანდაცვისა და ეკონომიკის სამინისტროების ბაზაზე ჩამოყალიბებული სპეციალური გუნდი, გააგრძელებს ყოველდღიურ შემოწმებას და მინდა, თითოეული კომპანიის ხელმძღვანელობას მოვუწოდო, პასუხისმგებლობით მოეპყრან თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას და იმ ვალდებულებებს, რომლებიც დაწესებულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

გარდა ამისა, მინდა გითხრათ, რომ 5 მაისიდან ასევე ნებადართული იქნება ავტოსარემონტო კომპანიების მუშაობაც. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც ლოგისტიკური ბიზნესისთვის, ასევე გადაზიდვებისთვის და ესეც ის ნაბიჯია, რომლის განხორციელებისა და გადადგმის შესაძლებლობა დღეს გვაქვს, – განაცხადა პრემიერმა.

რატი იონათამიშვილი: „არჩევნები კონსტიტუციით დადგენილ ვადებში ჩატარდება“

არჩევნები საქართველოში კონსტიტუციით დადგენილ ვადებში ჩატარდება.

ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე რატი იონათამიშვილმა განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ოპოზიცია ამ თემით სპეკულირებს და რეალურად სურთ, რომ შეთანხმება, რომელიც შედგა, ჩაიშალოს.

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ ვადებში, რაც არის კონსტიტუციით მოცემული, აუცილებლად ჩავეტევით. ასე რომ, ვისაც დღეს აქვს სურვილი, ამ თემით მოახდენოს სპეკულაცია, ვგულისხმობ ოპოზიციას, სწორედ ისინი არიან მოწოდებული იმისთვის, რომ შეთანხმება არ შედგეს, არ დავასრულოთ დათქმულ ვადებში ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ ჩვენ თითოეულ მიმართულებას ბოლომდე მივიყვანთ და არჩევნები საქართველოში კონსტიტუციით დადგენილ ვადებში ჩატარდება.

შეთანხმების ტექსტი მთლიანად საზოგადოებისთვის არის ცნობილი და ის იმდენად მკაფიოა, რომ ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევა, ვასრულებთ იმ ვალდებულებებს, რაზეც ხელი გვაქვს მოწერილი და ბოლომდე შევასრულებთ, რასაკვირველია.

ვინც დღემდე ცდილობს, რომ გარკვეული ინტერპრეტაციები შეიტანოს ამ ტექსტის შინაარსში, ვფიქრობ, საკუთარ თავს ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, – განაცხადა რატი იონათამიშვილმა.

გორი დაიტბორა

გუშინ, 4 მაისს, ძლიერი წვიმა და სეტყვა იყო გორში.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, უამინდობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაახლოებით 20-25 წუთის განმავლობაში გაგრძელდა.

სანიაღვრე არხებმა უხვ ნალექს ვერ გაუძლო და წყალი ქუჩებში წამოვიდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქალაქში ფეხით გადაადგილება შეუძლებელი იყო.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს წარმომადგენელი მამუკა ლომსაძე აცხადებს, სეტყვისაგან მიყენებული ზარალი მცირეა, რადგან სეტყვა ძირითადად ქალაქის მასშტაბით იყო, ხოლო რამდენიმე სოფელს ცოტა ხნით, უმნიშვნელოდ გადაუარა.

სააკაშვილს უკრაინაში რამდენიმე დღეში თანამდებობაზე დანიშნავენ

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე დღეში უკრაინაში ოფიციალურ თანამდებობას მიიღებს.

ამის შესახებ გამოცემა „უკრაინსკაია პრავდა“ ქვეყნის პრეზიდენტის ოფისში წყაროზე დაყრდნობით იუწყება.

– უახლოეს დღეებში მას დანიშნავენ. ჩვენ ჯერ ვერ ვილაპარაკებთ, რა თანამდებობაზე. ამის შესახებ პრეზიდენტმა უნდა თქვას. შემიძლია, მხოლოდ ის გითხრათ, რომ ის მთავრობას დაეხმარება, – განაცხადა გამოცემის წყარომ.

22 აპრილს მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტმა მას რეფორმების დარგში ვიცეპრემიერის თანამდებობა შესთავაზა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარიას არჩევნებამდე მოხსნიან“

ლადო სადღობელაშვილი: „ოცნებამ“ ბოლო დროს ნახევარი მილიონი ხმა დაკარგა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, 5 მაისიდან ნაწილობრივ კვლავ მოიხსნება შეზღუდვები. რას იტყვით თქვენ?

– 350 ათას კაცს შეეხება 200-ლარიანი დახმარება და ასევე 460 მილიონი გადანაწილდება იმ ადამიანებზე, რომლებიც ერთჯერადად მიიღებენ 300-ლარიან დახმარებას. ეს 460 მილიონი გავყავი 300 ლარზე და აღმოჩნდა, რომ 250 ათას ადამიანს გადაუხდიან ერთჯერადად 300 ლარს. 350 ათასი მიიღებს 200-ლარიან დახმარებას და ეს რაოდენობა, ჯამში, 600 ათასი გამოვიდა. გამოდის, რომ ხელისუფლება 600 ათას ადამიანს ეხმარება.

– ანუ 600 ათასმა ადამიანმა დაკარგა სამსახური?

– სწორედ მაგას ვამბობ, რომ 600 ათასმა ადამიანმა დაკარგა სამსახური. წარმოგიდგენიათ, რამდენმა ადამიანმა დაკარგა ოფიციალურად სამსახური. ვისაც არ ეხმარებიან და ვინც არაოფიციალურად იყო დასაქმებული?! სულ 3,5 მილიონი ვართ და, რა გამოდის, პენსიონერები და არასრულწლოვნები დარჩნენ.

მე იმის თქმა მინდა, რომ ქვეყანა არის გაუბედურებული. დღეს ადამიანი თუ მუშაობს, ის მუშაობს ან გამყიდველად, ან ადმინისტრაციულ სამსახურში, ან არის ექიმი. სხვა ყველა უმუშევარია. ძალიან რომ არ გავამძაფროთ სურათი, უბრალოდ, დავფიქრდეთ, რა დღე გველის ერთ თვეში, ორ თვეში?! აჭარის ზღვის სეზონი რომ ჩავარდება და ტურისტი არ შემოვა, ან სექტემბერში რა გველის? ჩვენ ეს ყველაფერი გავითავისოთ და მერე ვისაუბროთ იმაზე, ეს ხელისუფლება ეფექტიანია თუ არა თავის ნაბიჯებში.

– თქვენ როგორ ფიქრობთ?

– ეს ხელისუფლება თავის ეკონომიკურ ნაწილში არაეფექტიანი იყო. რაც შეეხება შეზღუდვების მოხსნას, საერთოდ რაზე დააწესეს შეზღუდვები, მოდი, აქედან დავიწყოთ. დღემდე ვერ ვხვდები, 9 საათის მერე რატომ უნდა ვიყო სახლში?!

– ხელისუფლება ყოველთვის თავს იმართლებს, ასე რომ არ მოვქცეულიყავით, მივიღებდით იტალია 2-სო.

– მესმის, მაგრამ მათ ეს მკაცრი პრევენციული ზომები არაფერში სჭირდებოდათ. რატომ შეზღუდეს მანქანებით გადაადგილება თითქმის ორ კვირაზე მეტ ხანს?! ან 9 საათზე რომ სახლში უნდა იყო. ეს ალოგიკური შეზღუდვებია. როდესაც რესტორნები და კაფე-ბარები არ მუშაობს ქვეყანაში, ხალხის ნაკადი ისედაც არ გადის ქუჩაში, მაქსიმუმ, თუ გაისეირნა და მეზობელთან გადავიდა და რა, ამას 9 საათამდე ვერ გააკეთებს?!

ხელისუფლებას მიზანმიმართულად შეჰყავს კრიზისსა და პრობლემებში ქვეყანა, მერე ამ კრიზისიდან გამოჰყავს და ამბობს, საქმე გავაკეთეო. აი, ეს სიტუაცია გვაქვს.

– სწორედ ასეთ კრიზისმენეჯერად ახასიათებენ გახარიას, თავადვე ქმნის კრიზისებს და მერე განმუხტავსო.

– ზუსტად ეგრე გამოდის, რომ თვითონ ქმნის სახელმწიფო კრიზისს და მერე გვახარებს, აი, დავძლიეთ კრიზისიო.

– ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლება ძალიან კარგად მოერგო შექმნილ სიტუაციას, ოპოზიცია სახლში გამოამწყვდია, თავად კი წინასაარჩევნო კამპანია აქვს გაჩაღებული. თქვენ რას ფიქრობთ, არჩევნებსაც ძველი სისტემით ხომ არ ჩაატარებს?

– ძალიან ჭიანურდება ახალ სისტემაზე გადასვლა. როდესაც მათ დასჭირდათ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, ორჯერ შეიკრიბა პარლამენტი. მათ არ სურთ საარჩევნო სისტემის დახვეწა და ცვლილება, თორემ შეიკრიბებოდა პარლამენტი.

– 3 მაისს მთავრობის სხდომაც არ ჩატარებულა დისტანციურ რეჟიმში, გახარიამ, აღარ არის ამის საჭიროებაო, ანუ პარლამენტსაც შეუძლია, შეიკრიბოს წესების დაცვით.

– დიახ, კეთილი ინებონ, შეიკრიბონ და აკეთონ საქმე. „ქართულმა ოცნებამ“ უამრავი ადამიანი დატოვა დღეს უმუშევარი. ეს ადამიანები ძირითადად ამ ხელისუფლების პირობებში დასაქმდნენ და ამიტომ მხარსაც უჭერდნენ მათ. დღეს ეს ადამიანები აღარ იქნებიან ამ ხელისუფლების მხარდამჭერები. 600 ათასი ადამიანი დავთვალე მინიმუმ და თითოეულს ოჯახში ერთი ადამიანი მაინც ეყოლება ზრდასრული, ვინც არჩევნებში მონაწილეობს და ვინც გაბრაზებულია ამ ხელისუფლებაზე.

– ეს ხალხი „ოცნებას“ ხმას აღარ მისცემს? დაახლოებით მილიონ ამომრჩეველს კარგავს?

– მილიონს თუ არა, 500 ათას ხომ კარგავს?! ეს დაახლოებით ამომრჩევლის 20%-ია. კიდევ 20% რომ მოაკლდეს ამ ხელისუფლებას, მე არ ვიცი, რისი იმედი აქვთ. ერთადერთი, რაც ამათ უშველით, უნდა გახსნან ჯიხურები და თითო სულ მოსახლეზე 1.000-1.000 ლარი დაარიგონ.

დღეს „ოცნება“ დარჩენილია მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსისა და პენსიონერების იმედზე, თან ამ ადმინისტრაციული რესურსიდანაც ბევრ ხალხს უშვებენ სამსახურებიდან. საოცარი რამ ხდება, მსოფლიოში რომ არსად ხდება, ისეთი. შსს-დან და პრობაციიდან უამრავი ხალხი გაუშვეს უკვე,

– რატომ უშვებენ ამ ხალხს?

– არ ვიცი. რეფორმასა და რეორგანიზაციას აბრალებენ ამ ყველაფერს, მაგრამ საგანგებო მდგომარეობის დროს ხალხის გათავისუფლება, როდესაც ყველაფერი ისედაც გაჩერებულია?!

– ეს პროცესები არჩევნებზე აისახება?

– თავისთავად აისახება, სხვანაირად როგორ?! ეს კრიზისი ხელისუფლებამ ნაადრევად შექმნა, ძალიან მკაცრი შეზღუდვები დაგვინესა. არც ერთ ქვეყანაში არ აუკრძალავთ საზოგადოებრივი ტრანსპორტი. დამისახელონ იტალიისა და ესპანეთის გარდა ქვეყნები, სადაც მეტრო გაჩერდა. ასეთი მკაცრი შეზღუდვების აუცილებლობა ჩვენთან არც ყოფილა და არც არის.

– რამე ფარული გეგმები ხომ არ აქვთ?

– ბოლო პერიოდში საინტერესო ნიუსები ვრცელდება. ამ კორონავირუსის ფონზე კონკრეტული ფეიკჯგუფები ავრცელებენ ინფორმაციებს გახარიას შეცვლის თაობაზე. მე ორი დღის წინ გადავედი ამ საიტებზე, სადაც ასეთი ინფორმაციები იდება. ამ საიტებზე ყოველთვის ხელისუფლების შტოებიდან გამოსული ინფორმაციები იდება.

– რის თქმა გინდათ, რომ გახარიას თალაკვაძე შეცვლის?

– ეს იყო კბილის მოსინჯვა, შემოგდებული პროგნოზი. გატესტეს საზოგადოების რეაქცია. ამ საიტზე დადებული ინფორმაციები ყოველთვის მართლდება, დაახლოებით ორ-სამ თვეში.

– ანუ იგეგმება გახარიას შეცვლა?

– მე ადრეც მითქვამს, სანამ კორონავირუსი იქნებოდა, რომ გახარიას ამ არჩევნებს არ ჩაატარებინებენ. მე ამის შესაბამისი არგუმენტაციაც მაქვს. არ არსებობს, რომ დატოვონ. უკვე დიდი ხანია, რაც პრემიერია.

ქოცებმა გახარიას ხერხემალი შეარქვეს. ესეც ძალიან ნიშანდობლივი ფაქტორია. როგორც ნაცები მერაბიშვილს აფეტიშებდნენ, ქოცები გახარიას აფეტიშებენ. როგორც წესი, ეს ცუდად მთავრდება ხოლმე. მე მაქვს ინფორმაცია, რომ გახარია ვერ ჩაატარებს ამ არჩევნებს.

– რა მიზეზით გაუშვებენ? თავადვე ამბობენ, რომ კარგი მენეჯერია.

– როგორ არის კარგი მენეჯერი, ამიხსნას ვინმემ. შეიძლება, მკაცრია და მძიმე ხელი აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს კარგ და სწორ მართვას. მერაბიშვილიც მკაცრი იყო და, როგორ დაამთავრა, ვნახეთ ყველამ. კარგი მენეჯერობა გულისხმობს იმას, რომ ეკონომიკური მხარე წესრიგში უნდა იყოს და ზოგადად – ყველაფერი. ძალიან ბევრი ჩავარდნა აქვს. ხელისუფლებას ვურჩევდი, დროულად გააუქმონ ეს შეზღუდვები, ნუ ცდიან ხალხის მოთმინებას. წინ არჩევნებია და ეს ყველაფერი ძალიან ძვირად დაუჯდებათ.

კობახიძე: „26 მაისს მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება საეჭვოა“

უმრავლესობის წევრი ირაკლი კობახიძე მიიჩნევს, რომ საეჭვოა 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, მასობრივი ღონისძიებების ჩატარება.

მისი თქმით, ზუსტი გათვლების გაკეთება რთულია და პროცესების მიმდინარეობაზე დაკვირვებაა საჭირო.

– ჩვენ უნდა ვიყოთ, ბუნებრივია, ყურადღებით, უნდა დავაკვირდეთ პროცესების განვითარებას და, რა თქმა უნდა, გვაქვს ძალიან დიდი იმედი, რომ უკვე მაისის ბოლოსთვის გვექნება სათანადო მაჩვენებლები. თუმცა, თუ არ დავაკვირდით უახლოეს კვირებში პროცესების განვითარებას, ისე გაგვიჭირდება წინდაწინ ზუსტი გათვლის გაკეთება.

რაც შეეხება 26 მაისს, ცოტა საეჭვოა, რომ ამ დროისთვის რამე მასობრივი ღონისძიების ორგანიზება იყოს შესაძლებელი, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„ხელისუფლებას ქვეყანა ნინიას ბაღად აქვს გადაქცეული“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ჩრდილოკორეული ჟანრის აგიტაცია-პროპაგანდის ფარგლებში მთავრობა აყვავებულ ეკონომიკაზე საუბრობს. თურნავამ ამაყად გვითხრა, შარშან ეკონომიკა ყვაოდაო. ამ მშიერ ქვეყანაში მთავრობა არაფერს იკლებს“

ნათია ხურცილავა

„ლიბერალისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნო კამპანია გაჩაღებული აქვს და ამ პროცესში ოპოზიცია არაფერში სჭირდება. ხელისუფლებას ექნება მცდელობა, პოლიტიკური კომფორტი გაიხანგრძლივოს?

– ბიძინა ივანიშვილს მშიერი კორონადიქტატურის დამყარების მცდელობა რომ ექნება, ამაზე დიდი ხანია, ვსაუბრობთ. ამის არდანახვა შეუძლებელია. მთავრობამ შეზღუდა მრავალი ის ქმედება, რომლებიც არანაირ კავშირში არ არის ეპიდემიასთან. ჩვენი პარტია ბრიფინგის ჩატარების გამო, ჯამში, 9 ათასი ლარით დაჯარიმდა. ეს პირდაპირი ზეწოლაა ოპოზიციაზე, ასევე – სიგნალი სხვებისთვის, ნაკლებად იაქტიურონ.

მიუხედავად ამისა, ჩვენ პროტესტს ვაგრძელებთ, უახლოეს მომავალში აქციებსაც არ გამოვრიცხავთ, რადგან, შეიძლება, სამწუხაროდ, ეს დაგვჭირდეს. ამ ფონზე ვხედავთ სოციალურ ქსელებში აღვირახსნილ პროპაგანდას. ამას მოჰყვა მეორე ტალღა ცუკერბერგის მხრიდან, როდესაც მან წაშალა „ოცნების“ პრომოუტერების ქარხანა. მათი უსტაბაში კოკა ყანდიაშვილი საერთოდ გააქრო სოციალური სივრციდან. ეს არის აგიტაციური ომი, რომელიც გამოგვიცხადა ხელისუფლებამ.

ჩრდილოკორეული ჟანრის აგიტაცია-პროპაგანდის ფარგლებში მთავრობა აყვავებულ ეკონომიკაზე საუბრობს. მეგონა, მომესმა, როდესაც თურნავამ ამაყად გვითხრა, შარშან ეკონომიკა ყვაოდაო. ამ მშიერ ქვეყანაში მთავრობა არ იკლებს არაფერს, არც ათიათასიან ხელფასებს, არც პრემიებს, არც მანქანებს.

– ქამრების შემოჭერაზე საუბრობენ.

– ქამრებს გვიჭერს ჩვენ ყელზე და არ იჭერს საკუთარ

გასიებულ წელზე. ადამიანები შიმშილის პირისპირ დგანან. მთავრობამ ხალხი საშიმშილოდ განირა.

– მთავრობის სოციალური პაკეტი არ არის მისაღები?

– ისე მთავრდება საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში, რომ ადამიანებს სახელმწიფოსგან არავითარი დახმარება ჯერ არ მიუღიათ. თუ მიიღებენ, მხოლოდ სიმბოლური იქნება. 200-ლარიანი კომპენსაცია მხოლოდ სიმბოლურია. მთავრობის მოვალეობაა, ადამიანები თანაბრად დაიცვას ვირუსისგანაც და შიმშილისგანაც. ამიტომ 200-ლარიანი დახმარება ყველა მოქალაქეზე თანაბრად უნდა გაიცეს 6 თვის განმავლობაში. ამას კატეგორიულად მოვითხოვთ.

– 22 მაისს საგანგებო მდგომარეობა დასრულდება თუ შეიძლება, გაგრძელდეს?

– შეეცდებიან, რომ რაც შეიძლება დიდხანს გაწელონ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ პოლიტიკურად აწყობთ ეს მოცემულობა. მთავრობას, რომელიც ისედაც ავტორიტარული ბუნებით ხასიათდებოდა, გაუტკბა კარანტინი. როგორც ჩანს, ხელისუფლებას მოსწონს, როდესაც ნინიას ბაღად აქვს გადაქცეული საქართველო, სადაც მხოლოდ საკუთარ ბიზნესებს ამუშავებს, სადაც იპარავს ათასს და ხარჯავს ერთს. ამ ფონზე, ცხადია, ერთადერთ მხსნელად საკუთარი თავი გამოჰყავს და ეს მოსწონს. ამ მდგომარეობაში თავი მოსწონს. თუკი რამე შედეგი გვაქვს ჯანდაცვის მიმართულებით, ეს მხოლოდ ექიმების დამსახურებაა, მათ შორის, საზოგადოების, რომელიც ძალიან შეგნებულად და გაცნობიერებულად მიუდგა ეპიდემიის საფრთხეებს. შეზღუდვისა და დამშვევის ხარჯზე ხდება ვირუსის შეკავება. აქ არაფერ შუაშია ხელისუფლება. განსაკუთრებული მათ არაფერი გაუკეთებიათ. ადამიანებმა გამოავლინეს ძალიან მაღალი შეგნება სწორედ საკუთარი გაკოტრებისა და უსამსახუროდ დარჩენის ხარჯზე.

სრულ ეკონომიკურ, ბიზნესმონოპოლიზაციას ახლა პოლიტიკური მონოპოლიზაცია დაემატა. ქვეყანაში ავტორიტარიზმის ეპიდემიაა. ამის მაქსიმალური გამოყენება სახეზეა.

– რას აპირებთ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება იტყვის, რომ კიდევ ერთი თვით უნდა გაახანგრძლივოს საგანგებო მდგომარეობა?

– თუ ხელისუფლება ხელოვნურად გააგრძელებს საგანგებო მდგომარეობას, მაშინ ჩვენ დავიწყებთ ქუჩაში გამოსვლებს, საპროტესტო აქციებს. მე მაინც ვფიქრობ, რომ მთავრობა ხელოვნურად ვერ შეძლებს სიტუაციის დამძიმებას.

– რატომ ვერ შეძლებს?

– იმიტომ, რომ ჩვენც არ გვძინავს. ეს მას, შეიძლება, ძალიან უნდა, მაგრამ ვერ მოახერხებს. ჩვენ კიდევ უფრო აქტიურად ვიბრძოლებთ, თუ, რასაკვირველია, რეალურად არ დამძიმდა ქვეყანაში ეპიდემიური მდგომარეობა და რეალურად არ მოიხსნება ვირუსის გავრცელების საფრთხე. დღევანდელი მონაცემებით, ეპიდემიური სიტუაცია აღარ უნდა დამძიმდეს, პირიქით. პროგნოზი ასეთია. გონივრულ შეზღუდვებს ჩვენ ვემხრობით, მაგრამ შეზღუდვები სიგიჟეების ზღვარზე უნდა გაუქმდეს.

ლევან ჩაჩუა: „ხელისუფლების წარმომადგენლები საფრთხეს ვერ გრძნობენ“

„დახმარება ბევრად ფართო უნდა ყოფილიყო“

მარიამ მჭედლიშვილი

აქტუალურ პრობლემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

– ორშაბათს გამართულ მთავრობის სხდომაზე პრემიერმა გვამცნო, რომ ეკონომიკის გახსნა ხელისუფლების პრიორიტეტი ხდება. 5 მაისიდან აღდგება მთელი სამშენებლო სექტორის საქმიანობა, 15 მაისიდან კი – ავტოსარემონტო ობიექტების მუშაობა. ეს იმედისმომცემია?

– ჩასაფრებული არა ვარ, მაგრამ მე ეს იმედს არ მისახავს. ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი ხალხის წინააღმდეგ. მაშინ, როცა მოსახლეობა შიმშილობს და წინ უარესი გველოდება, მშენებლობის აღდგენა და ავტორემონტი არ უნდა იყოს მთავარი და საჩქარო ქვეყანაში. მშენებლობას საქართველოში თავისი ლობისტები ჰყავს. სამშენებლო საქმიანობით უფრო ხშირად დაკავებული არიან ბანკები და უცხოელი ინვესტორები. ეტყობა, მთავრობამ მათ გაუწია ხათრი და ნებართვები მათთვის მოხსნა. ხელისუფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული საბანკო საქმიანობასთან. მშენებლობებზე ხალხია დასაქმებული, მაგრამ რა ქნას დანარჩენმა გაჭირვებულმა საქართველომ?! როცა შიმშილი გემუქრება, სოფლის მეურნეობაზე უნდა იფიქრო! მთავრობას, პირველ რიგში, სერიოზული დახმარება უნდა გაეწია ფერმერებისა და გლეხებისათვის.

– სურსათის უსაფრთხოება პრემიერმა ახსენა.

– მაგას ხსენება და ლაპარაკი არ შველის. საქმეა საჭირო. ხელისუფლება ბიზნესს კი არ უნდა ლობირებდეს, ხალხზე უნდა ზრუნავდეს. როგორც ვატყობ, ხელისუფლების წარმომადგენლები საფრთხეს ვერ გრძნობენ. მათი კაბინეტებიდან და ძვირფასი მანქანების ფანჯრებიდან ცხოვრების სიმწარე არ ჩანს. გამოვიდნენ და დაელაპარაკონ ხალხს! მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა. თუ ახლა რაღაცის მარაგი მაინც ჰქონდათ ადამიანებს, იმას მოიხმარენ. ორ-სამ თვეში მდგომარეობა გაუარესდება. ზამთრის პირზე შეიძლება გაშმაგებული დამშეული ხალხი გარეთ გამოვიდეს. სასურსათო უსაფრთხოებაზე ჯერ კიდევ მაშინ უნდა ეფიქრათ, როცა ახალქალაქის, ახალციხისა და სხვა რაიონებში მოყვანილი კარტოფილი საზღვრებს გარეთ გადიოდა, საქართველოში კი თურქული, ირანული და სომხური პროდუქცია შემოდიოდა. მაშინ ამას ლობირებდნენ, ქართულ აგრარულ სექტორს კი აზიანებდნენ. ახლაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა რეგიონების მოსახლეობა, როცა მოწეული ბოსტნეული თუ მწვანილი დაულპა. ამას ნაციონალური მოძრაობის მსგავსი ანტისახელმწიფოებრივი პოზიციიდან არ ვლაპარაკობ. ეს მართლაც ასეა.

– ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ხალხს შიმშილისგან იხსნის სუბსიდიები, რომლებიც გარკვეულ კატეგორიებს დაუწესეს.

– ეგ 200 და 300-ლარიანი სუბსიდიები მოსახლეობას შიმშილისაგან ვერ იხსნის. ჯერ ერთი, ისინი ხალხის 80%-ს არ შეეხება. ვისაც ეხება, ისინიც ჯერ ვერ აიღებენ. სანამ აიღებენ, შეიძლება, სული გააფრთხონ. პირადად მე 4 შვილის მამა ვარ. არც მე და არც მეუღლე ამჟამად არ ვმუშაობთ. მიღებული გვაქვს მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი. ჩვენთვის არანაირი შეღავათი არ დაგეგმილა. კომუნალური გადასახადების კომპენსაციისკენ ხელისუფლებას მეც მოვუწოდებდი, მაგრამ არა ამ სახით. ელექტროენერგიაზე შეღავათი უმცირეს სეგმენტს შეეხო. გადაეხადა სახელმწიფოს ყველასთვის (მდიდარი ჯგუფის გარდა) 200 კილოვატის საფასური, დანარჩენს კი ოჯახები გადაიხდიდნენ! თუ გული გულობს და ტვინი ტვინობს, მოსახლეობისთვის დახმარება ყოველთვის შეიძლება. დახმარება ბევრად ფართო უნდა ყოფილიყო.

– უფრო ფართო ფენებისთვის?

– რასაკვირველია. რეესტრში არსებობს მონაცემები. იქ მსხვილი გადამხდელებიც არიან და დანარჩენებიც. სახელმწიფო უნდა დახმარებოდა ყველას, ვისი შემოსავალიც 40.000 ქვემოთაა. შეღავათებში ხელისუფლებამ უგულობა გამოიჩინა.

– საქართველომ მიიღო დახმარება გარედან. აქედან დაახლოებით 80% კრედიტია. ხალხს რაღაც ხომ მოხმარდება?

– მეეჭვება, ასე იყოს. კარანტინის გაწელვა ხელისუფლებაში მოკალათებულ ჯგუფებს თავიანთთვის სჭირდებათ. ხალხს აშინებენ, კუბოებს, ზეწრებს აჩვენებენ. თვითონ იღებენ დახმარებებს, უნდათ, თანხები ჩაიჯიბონ. შიმშილი და მიწების დროულად ხვნა-თესვა ვის ახსოვს! პირადად მე თეთრიწყაროში მაქვს ნაკვეთი. იქ ვამუშავებ მიწას, კარტოფილი და სხვა მოსავალი უნდა მოვიყვანო, რომ თავი გავიტანოთ. აქ კიდევ ერთ საშინელებას წავაწყდით – მშობლები პენსიას ვერ იღებენ.

– პენსიას რატომ ვერ იღებენ?

– რამდენიმე ადგილას ვიყავი და ყველგან დაკეტილია ლიბერთი ბანკის განყოფილებები და მათი ბანკომატები. ასევე დაკეტილია იუსტიციის სახლი. კოდაში საქართველოს ბანკის ბანკომატით ავიღეთ მშობლების პენსიები და ამაში ათ-ათი ლარი ჩამოაჭრეს. პენსიონერებს პენსიის აღებისას ათ-ათ ლარს უქვითავენ. ამაზე მეტი პრობლემა რა უნდა შეუქმნან ხალხს?! ბიზნესიც უნდა ამუშავდეს, მასაც ხელშეწყობა უნდა, განსაკუთრებით – მცირე და საშუალო ბიზნესს, მაგრამ მოსახლეობა მშიერი და გამწარებული არ უნდა იყოს.

მამუკა ტუსკაძე: „ქვეყნის მმართველობა დღეს გამყრელიძე-იმნაძის ხელშია“

„მცირე დახმარების გაცემაც კი, რომელიც მე არ მომწონს, მაისის ბოლოდან იწყება. ეს ხომ კატასტროფაა. 22 მაისამდე ხალხი მიაღწევს? სახელმწიფოში, რეალურად, მძიმე მდგომარეობაა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ დამფუძნებელი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, მთავრობამ კრიზისული პერიოდის ეკონომიკური პროგრამა გამოაქვეყნა. როგორ აფასებთ ამ გეგმას, რამე შენიშვნა თუ გაქვთ?

– პირდაპირ გეტყვით – მე და ჩემი პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ წარმოდგენილ ეკონომიკურ გეგმას მხარს არ ვუჭერთ. მეტიც, აღნიშნული გეგმა მორგებული არ არის ეპიდემიით, პანდემიით გამოწვეული ზარალის მინიმალურად ანაზღაურებაზე, რომ მოქალაქე დაცული იყოს სოციალური უსამართლობისაგან.

– კონკრეტულად მაინც რატომ არ მოგწონთ?

– პირველი – ხელისუფლებამ აბსოლუტურად არ გათვალა ვადები, რამდენად ეფექტიანი იქნებოდა თუნდაც იმ მიზერული თანხების გაცემა.

– თანხების გაცემა 6 თვეზე რომ არის გაწერილი, არაეფექტიანია?

– კომპენსაციის გაცემა 6 თვეზე რომ არის გაწერილი, ამიტომ არაეფექტიანია. ადამიანმა სექტემბერ-ოქტომბრამდე თუ ვერ მიაღწია, საერთოდ არანაირი დახმარება აღარ დასჭირდება. რაც უფრო მოკლე ვადაზე გაწერდნენ, მით ეფექტიანი იქნებოდა, თან ჯობდა, ერთჯერადად გაცემულიყო. შეიძლებოდა, მაქსიმუმ 3 თვეში გაეცათ. პირველი ხარვეზი ეს არის.

მეორე ხარვეზი თანხების მცირე ოდენობაა. მართალია, ბიუჯეტს უჭირს, მაგრამ ამისთვის ხარჯები უნდა გამოძებნილიყო და მეტი თანხა უნდა გაცემულიყო.

მესამე და მთავარი – აბსოლუტურად არ უნდა განესხვავებინათ სოციალურად დაუცველი, უმუშევარი, დასაქმებული. ყველას, ვინც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდებოდა, სახელმწიფო სამსახურში არ იყო და სტაბილურად ხელფასს არ იღებდა, ერთჯერადად ან სამჯერადად დახმარება უნდა მისცემოდა. თანხის ოდენობა საარსებო მინიმუმი მაინც უნდა ყოფილიყო, ანუ დაახლოებით 250 ლარი.

250 ლარი მინიმუმ სამჯერ უნდა გაცემულიყო, რომ ყოფილიყო ეფექტიანი და ხალხზე მორგებული პროგრამა. მთავრობას ეკონომიკური გათვლა არ მოუხდენია და ჯერ არ წარმოუდგენია გეგმა, პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკა როგორ უნდა ამუშავდეს.

რაღაც ეტაპების ჩამოთვლა არაფერს ნიშნავს. 11-ში და 24-ში რაღაც გაიხსნებაო, ამის თქმა არც კვალიფიციური ქმედებაა და არც არაფრის მაჩვენებელია, არაკვალიფიციურობის მანიშნებელია. მთავრობას ეკონომიკური გეგმა, პრაქტიკულად, არ წარმოუდგენია.

– გახარიამაც თქვა, რომ პოსტკრიზისული გეგმა ჯერ არ წარმოუდგენიათ. 11-ში და 24-ში შეზღუდვები მოიხსნება.

– უკვე მაისი დაიწყო და ჯერ კიდევ არ არის პოსტკრიზისული პერიოდის ეკონომიკური გეგმა წარმოდგენილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ პანდემია მაისის ბოლოს კი არა, ალბათ, ზაფხულის ბოლომდე გადაიწევს. თუ ჩვენ მაისის ბოლოსთვის შეზღუდვების მოხსნას ვვარაუდობთ, პოსტკრიზისული პერიოდის ეკონომიკური გეგმა უკვე წარმოდგენილი უნდა იყოს. რადგან გეგმა ჯერ არ არის წარმოდგენილი, ვვარაუდობ, რომ კრიზისი ზაფხულისთვის გადაიდო, მით უმეტეს, მსოფლიო თანამეგობრობაში საუბარია იმაზე, რომ ძალიან ბევრი საეჭვო რამ გამოჩნდა პანდემიასთან დაკავშირებით. ამიტომ პანდემია, ალბათ, მთელი ზაფხული გასტანს.

– თანხის გაცემის 6 თვეზე გაწერა, ალბათ, იმით არის განპირობებული, რომ ბიუჯეტში თანხა არ არის მობილიზებული. თანხები ხომ უნდა მოიზიდონ მსოფლიო ბანკიდან, მეგობარი ქვეყნებიდან? ამას დრო ხომ სჭირდება?

– დახმარება არასწორად და უსამართლოდ გაიცემა. პანდემია დასაქმებულსაც შეეხო, დაუსაქმებელსაც, ბიზნესში დასაქმებულსაც და ყველას. ამიტომ ამ შემთხვევაში ამ პანდემიამ და გაცემულმა დახმარებამ ყველა უნდა გაათანაბროს.

– როგორ?

– აუცილებელი იყო, საარსებო მინიმუმი ყველას მისცემოდა, რა თქმა უნდა, მათ გარდა, ვისაც ხელფასი არ შესწყვეტია, ვინც, ელემენტარულად, საგადასახადოშია აღრიცხული.

პირად ნომერს შეიყვან შემოსავლების სამსახურის ბაზაში და ამოაგდებს, მიიღო თუ არა ამ ადამიანმა ამ თვეში ხელფასი. ვისაც საგადასახადოს სპეციალური ელექტრონული სისტემა არ ამოაგდებდა, ყველას თანაბრად, 50 ლარის ოდენობით, სამჯერადი სოციალური დახმარება უნდა მიეღო.

– მაშინ გენახათ თქვენ ნაცების საუბარი იმაზე, რომ წარმოდგენილი პროგრამა არჩევნებზეა გათვლილი.

– არა მგონია, არჩევნებზე იყოს გათვლილი. არჩევნებისთვის ხელისუფლებას უკვე აქვს გარკვეული რეიტინგი, თუმცა, ჩემი ვარაუდით, ხელისუფლება ამ რეიტინგს გააქარწყლებს.

– რატომ გგონიათ?

– იმიტომ, რომ სახელისუფლებო ვერტიკალი საერთოდ მოეშვა და მმართველობა დღეს რეალურად გამყრელიძე-იმნაძის ხელშია.

– იმიტომ ხომ არა, რომ მთავარი კორონავირუსთან დაკავშირებული საკითხებია და ის შუქდება?

– არა, ხელისუფლება რომ მუშაობდეს, ისიც გაშუქდება. ყველაფერი ისედაც გაჩერებულია. ჩანს ის, რომ არაფერი ჩანს. ჩანს მხოლოდ სამედიცინო პერსონალი, რომელიც ამბობს, დღეს უნდა დავბლოკოთ ეს, ხვალ უნდა ჩაკეტოთ ის, ზეგ უნდა დავეხმაროთ ამასო. ასე არ შეიძლება. გამყრელიძე და იმნაძე საზოგადოების უმრავლესობას არ აურჩევია. ისინი არ უნდა იძლეოდნენ ბრძანებებს, სახელმწიფო როგორ უნდა იმართოს.

– ხელისუფლებამ სხვა რა უნდა აკეთოს პანდემიის პირობებში? მთელი მსოფლიო გაჩერებულია.

– მსოფლიოს ქვეყნებში პიკი არ არის გადალახული, მაგრამ ეკონომიკის ამუშავება დაიწყეს, მათ შორის, აშშ-ში, შვედეთსა და ევროპის ქვეყნებში, ორი დღის წინ, ასევე ბრიტანეთში კაფეები და რესტორნები აამუშავეს. საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლებას მეტი ბერკეტი უნდა ჰქონდეს. მეტი კონტროლი დააწესოს, გახსნას რაღაც ობიექტები და მოსთხოვოს წესების დაცვა, როგორც ახლა მარკეტებშია. ყველამ იცის, რომ მაღაზიებში განსაკუთრებული წესებია. მათ დაქირავებული ჰყავთ ხალხი, რომ მოქალაქემ დისტანცია დაიცვას. ასე შეიძლებოდა, ხელისუფლებას დაევალებინა სხვა ობიექტების ხელმძღვანელებისთვისაც წესების დაცვა.

კონკრეტულად ვერ ამბობენ, როგორ შეიძლება ამოქმედდეს ეკონომიკა. ხომ შეიძლებოდა, ავტოსამრეცხაოს მუშაკებისთვის ეთქვათ, ამუშავება შეიძლება, თუ სოციალურ დისტანციას არ დაიცავთ, 3 ათასი ლარი ჯარიმა იქნებაო.

– ამგვარი რამ სწორედ ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომელი საწარმოც დააკმაყოფილებს პირობებს, ის გაიხსნებაო. ამ დროისთვის ის ბაზრობები გაიხსნა, სადაც შესაბამისი პირობებია.

– სექტემბერში, კი ბატონო, გაიხსნება, მაგრამ უკვე გახსნილი უნდა იყოს. როგორც იყო აქამდე, სახელმწიფო ისევ ისე უნდა მუშაობდეს. ხელოსანი ვერავისთან მიდის სამუშაოდ.

რაც მთავარია, ამ ხნის განმავლობაში არავინ გამოვიდა და არ თქვა, ამ ერთჯერად დახმარებას სოციალურად დაუცველი ოჯახი მიიღებს და მას სოციალურად დაუცველის სტატუსი არ მოეხსნებაო.

ვთქვათ, მე სოციალურად დაუცველი ვარ, პრაქტიკულად, არსად ვმუშაობ, მაგრამ, შეიძლება, ვიღაცას თოხნაში, ლესვაში, შეღებვაში ვეხმარები, მერე დამჭირდა ცნობა, რომ მივიღო გაძვალტყავებული 300 ლარი, ანუ თვეში 50 ლარი. ამ ცნობის საფუძველზე მე ვიღებ 300 ლარს, მაგრამ ვკარგავ სოციალურად დაუცველის სტატუსს, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო გარანტირებულ დახმარებას მაძლევდა. ეს როგორ უნდა დაარეგულიროს სახელმწიფომ, ამაზე სახელმწიფოს ჯერ არაფერი უთქვამს, რაც ცუდია.

– ეს, თქვენ გარდა, არც არავის უთქვამს.

– განსაკუთრებით რაიონებსა და სოფლებშია ეს პრობლემა. თუ მიიტანს ცნობას, რომ მეორე მეზობელს რაღაცაში ეხმარებოდი და შეძლებული ოჯახი რაღაც მიზერულ ხელფასს გიხდიდა, ამ ცნობის საფუძველზე მოგეხსნება სოციალურად დაუცველის სტატუსი.

– ანუ ამ ერთჯერადი თუ სამჯერადი დახმარებით სოციალური დახმარების მიღება საფრთხის ქვეშ დგება?

– დიახ. ხომ გახსოვთ, საზღვარი თუ გადაკვეთა, ქათამი თუ გაიჩინა, და ოჯახის ერთ წევრს ხელფასი გაუჩნდა, ოჯახს სოციალური დახმარება ეხსნება და თავიდან იწყება მისი ქულების დათვლა. დახმარების ფული რომ ჩაერიცხებათ, იგივე პროცესი დაიწყება.

– რამდენიმე თვის წინ მთავრობამ განაცხადა, ვინც მუშაობას დაიწყებს, 1 წლის განმავლობაში მას სოციალურ დახმარება არ მოეხსნებაო.

– მესმის. ეს განცხადება გაკეთდა, მაგრამ კანონად არ ქცეულა. მოქალაქეები მირეკავენ, რომ მარტსა და აპრილში მოეხსნათ სოციალურად დაუცველის სტატუსი სხვადასხვა მიზეზის გამო და ვერ აღიდგინეს.

– ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ მასობრივად ამოწმებენ საწარმოებს და ამზადებენ ასამუშავებლად ახალი რეალობისთვის.

– რა ახალი რეალობაა? არაფერი. ძველი, ჩვეულებრივი რეალობაა. აქ განსაკუთრებულად შესამოწმებელი არაფერია. სრული ორი თვე გავიდა და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უარეს მდგომარეობაში ვართ. იმ მცირე დახმარების გაცემაც კი, რომელიც მე არ მომწონს, მაისის ბოლოდან იწყება. ეს ხომ კატასტროფაა, 22 მაისამდე ხალხი მიაღწევს? სახელმწიფოში რეალურად მძიმე მდგომარეობაა.

სახელმწიფოს ადგილობრივი სოციალური სააგენტოების მთელი ბაზები აქვს ხელისგულზე. ამიტომ ამას ბევრი შემოწმება არ სჭირდება.

კახა საბანაძე: „პირბადეების საქმის ჩემთვის დაბრალება სიცრუეა“

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე კახაბერ საბანაძემ გუშინ, 4 მაისს, ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში, გადაცემაში „დღის ქრონიკა“, კომენტარი გააკეთა მის წინააღმდეგ გავრცელებულ განცხადებებზე, რომლებიც მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლებასა და ე.წ. პირბადეების საქმეს გულისხმობდა.

– ადგილზე ვარ და ვმუშაობ საკმაოდ აქტიურად, ზედმიწევნით ვასრულებ ჩემს მოვალეობას, ვემსახურები ქვეყანასა და საზოგადოებას. რაც შეეხება „პირბადეების“ თემას – ეს არის სიცრუე, რაღაც ახალი ფენომენი, რომელიც არანაირად არ ჯდება ჟურნალისტური საქმიანობის ეთიკის პრინციპებში.

ეს არის სრული სიცრუე და ცილისწამება. როგორც უყურებთ, ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ ეფექტურად, ქვეყნის და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. ჟურნალისტურ ეთიკასთან ამ ინფორმაციასა და მოქმედებას არაფერი აკავშირებს და, შესაბამისად, ამით ყველაფერი ნათქვამია. ეს არის ცილისწამება.

სამწუხაროდ, მსგავს შემთხვევებს ხშირად აქვს ხოლმე ადგილი. ყველაზე სათითაოდ რეაგირებას ვერ მოახდენ, მაგრამ, მადლობა, რომ მომეცით საშუალება, გითხრათ, ეს არის სრული აბსურდი და კომენტარს ამაზე უკვე აღარ გავაკეთებ, არ ღირს ამაზე, ელემენტარულად, კიდევ დროის დაკარგვა. ეს არის სიცრუე, – განაცხადა კახაბერ საბანაძემ.

თბილისში 26 წლის მამაკაცს სასტიკად გაუსწორდნენ

თბილისში 26 წლის მამაკაცს სასტიკად გაუსწორდნენ. ინციდენტი ცინცაძის ქუჩაზე მოხდა. ახალგაზრდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა საავადმყოფოში გადაიყვანა. მას მრავლობითი მოტეხილობები და ნახეთქი ჭრილობები აღენიშნება.

მისი მდგომარეობა სტაბილურია.

ჯერჯერობით უცნობია ჩხუბის მიზეზი. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, რაც ძალადობას გულისხმობს.

პოლიციამ ზუგდიდში მომხდარი ტექნიკის მაღაზიის გაქურდვის ფაქტი გახსნა

დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2003 წელს დაბადებული ორი პირი – პ.ს. და შ.ჭ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ზუგდიდში მდებარე ტექნიკის ერთ-ერთ მაღაზიაში ფარულად დაეუფლნენ სხვადასხვა მოდელის მობილურ ტელეფონებს.

სამართალდამცველებმა 13 ნაქურდალი ტელეფონი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილ ქურდობას გულისხმობს.

ცოტნე გამსახურდიას მკვლელობის მცდელობის საქმეზე გამოძიება დასრულდა

„ცოტნეს დინამიკა დადებითია. ნელ-ნელა წინ მივდივართ“

ცოტნე გამსახურდიას მკვლელობის მცდელობის საქმეზე გამოძიება დასრულდა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ცოტნე გამსახურდიას ადვოკატმა ამირან გიგუაშვილმა განუცხადა.

გუშინ, 4 მაისს, მას და საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებს შორის გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები განიხილეს.

– იმ გარემოებებისა და სირთულეების გათვალისწინებით, რაც ამ საქმეს ახლდა, კერძოდ, ის, რომ თვითონ ცოტნე გამსახურდიამ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ობიექტურად ვერ შეძლო, გამოძიებასთან ეთანამშრომლა და მიეწოდებინა სრულფასოვანი, ამომწურავი ინფორმაცია როგორც კონფლიქტის მიმდინარეობასთან, ისე მონაწილე პირებთან დაკავშირებით; ასევე იქიდან გამომდინარე, რომ სამწუხაროდ, ჩვენ საზოგადოებაში ჯერ კიდევ პრობლემად რჩება მოქალაქეთა თვითშეგნება იმაზე, რომ აქტიურად ითანამშრომლონ გამოძიებასთან, ამ ყველა სირთულის მიუხედავად, ძალიან მოცულობითი სამუშაო ჩატარდა, – განაცხადა ადვოკატმა.

საქმეზე საგამოძიებო მასალა 11 ტომია. საქმე გაგზავნილია სასამართლოში.

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ პირთა მიმართ, ვინც პასუხისგებაში არიან მიცემული ცოტნე გამსახურდიაზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით, სასამართლო მიიღებს მკაცრ და კანონიერ გადაწყვეტილებას და ეს პირები კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან, – აღნიშნა გიგუაშვილმა.

ის ვერ იტყვის, გამოძიებით კმაყოფილია თუ უკმაყოფილო, რადგან თვითონ ცოტნე გამსახურდიას პოზიცია არის გადამწყვეტი.

– იმედი მაქვს, ეს პოზიცია გაჟღერდება, როცა ცოტნე ამას შეძლებს. დღეის მოცემულობით ვიტყვი, რომ ვრცელი და მოცულობითი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა, – დასძინა ამირან გიგუაშვილმა.

რაც შეეხება კითხვის ნიშნებს, ზოგადად, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ადვოკატის განმარტებით, გამოძიება დასრულდა იმ პირების მიმართ, რომლებიც უკვე პასუხისგებაში არიან მიცემული, ხოლო ცალკე გამოძიება მიმდინარეობს იმ ვერსიებთან დაკავშირებით, რომლებიც, შესაძლოა, ამ საქმეში არსებობდეს.

– ვფიქრობ, პროკურატურის მიერ მართებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული და გრძელდება გამოძიება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, რათა გამოვლინდეს ყველა ის შესაძლო მტკიცებულება თუ გარემოება, რომლებიც შესაძლოა არსებობდეს ამ საქმესთან დაკავშირებით, რომლებთან დაკავშირებითაც შეიძლება, მე, როგორც ადვოკატს, ასევე კითხვები მქონდეს. ამიტომ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ფანჯარა ჯერ კიდევ ღიაა და მიმდინარეობს გამოძიება.

როდესაც ცოტნე გამსახურდია გამოძიებასთან თანამშრომლობას შეძლებს, ვიმედოვნებ, რომ ამ ყველა კითხვას, რომლებიც დღეს არსებობს, ჩემთვის, როგორც ადვოკატისთვის, მათ შორის, პროკურატურისთვისაც, გაეცემა პასუხები მიმდინარე გამოძიების ფარგლებში.

ამ ეტაპზე გამოძიება დასრულებულია პასუხისგებაში მიცემული პირების მიმართ, ხოლო სხვა პირების მიმართ, რომლებიც, შეიძლება, ამ საქმეში მონაწილეობდნენ, მიმდინარეობს გამოძიება და, იმედი მაქვს, თავის დროზე ყველაფერს პასუხი გაეცემა. ეს გამოძიება ცალკე წარმოებად არის გამოყოფილი, რათა ყველა კითხვას პასუხი გაეცეს, – განაცხადა ამირან გიგუაშვილმა.

ცოტნე გამსახურდია 2019 წლის 19 დეკემბერს დაჭრეს. მას თავდაპირველად ხეჩინაშვილის კლინიკაში მკურნალობდნენ, შემდეგ კი თურქეთის კლინიკაში გადაიყვანეს.

გამსახურდიას დაჭრის ფაქტზე რამდენიმე პირია დაკავებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ტ.ღ. – განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ხოლო 4 პირი – 1990 წელს დაბადებული თ.ქ., 1991 წელს დაბადებული გ.ს., 1982 წელს დაბადებული პ.ყ. და 1973 წელს დაბადებული კ.ჩ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დაკავებულმა ტ.ღ.-მ მიმდინარე წლის 19 დეკემბერს თბილისში, გალის ქუჩაზე, ცოტნე გამსახურდიას საკუთარი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო მომხდარი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ბასრი საგნის გამოყენებით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის თანამშრომლებმა დაჭრილი ცოტნე გამსახურდია საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის დაკავებულ პირს – 7-დან 15 წლამდე ვადით, ხოლო ამავე დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებულ პირებს 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

***

ცოტნე გამსახურდიას მეუღლის, ანა ჯაბაურის, ინფორმაციით, ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

როგორც ჯაბაურმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, გამსახურდია კვლავ თურქეთის ერთ-ერთ სარეაბილიტაციო ცენტრში იმყოფება. მისივე ინფორმაციით, პაციენტის გადაყვანა ევროპაში სურდათ, თუმცა, კორონავირუსის გამო, ეს ვერ მოხერხდა.

როგორც ჯაბაური აცხადებს, მოლაპარაკებები მიმდინარეობს და საზღვრებისა და საჰაერო სივრცის გახსნის შემდეგ მას ევროპაში გადაიყვანენ.

– ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესებულია, ცოტ-ცოტა კვებაც დავაწყებინეთ, თუმცა ეს არის ხანგრძლივი პროცესი იმიტომ, რომ დაზიანება დიდია და წინ ჯერ კიდევ ბევრი მკურნალობა ელის. ახლაც მკურნალობს თურქეთის ერთ-ერთ სარეაბილიტაციო ცენტრში. რეაბილიტაციისთვის ევროპაში გვინდოდა გადაგვეყვანა, მაგრამ ვერ მოხერხდა, ევროპამ უარი გვითხრა კორონავირუსის გამო. ახლა ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს და, როგორც კი მიგვიღებენ, კორონას გამო დაკეტილი საზღვარი და საჰაერო სივრცე გაიხსნება, გადავიყვანთ.

ცოტნეს დინამიკა არის დადებითი, ნელ-ნელა მივდივართ წინ. ყოველდღიურად, პატარ-პატარა ნაბიჯებით წინ მივიწევთ და მდგომარეობა გაუმჯობესებულია, დადებითი დინამიკაა. წინ მიდის, მაგრამ ეს არის ხანგრძლივი პროცესი, თუნდაც ის, რომ კვება დავაწყებინეთ ცოტ-ცოტა, ეს უკვე ძალიან წინ გადადგმული ნაბიჯია, – განაცხადა ჯაბაურმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 108 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმისა და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 108 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 3 მაისის 21 საათიდან 4 მაისის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 78 მოქალაქე დააჯარიმა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების შეზღუდვისა და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო, სულ 24 მოქალაქე დააჯარიმეს.

პოლიცია დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად განაგრძობს თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მკაცრ კონტროლს. ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, თვითიზოლაციის წესების დარღვევის 1 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 5 პირი დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

„ალბათ, საჭესთან ჩაეძინა“

ხულოში ტრაქტორი ხევში გადავარდა. მძღოლი დაიღუპა

3 მაისს ხულოში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ტრაქტორის 29 წლის მძღოლი დაიღუპა.

მძიმე ტექნიკა ხულოს ცენტრალურ გზაზე გადაადგილდებოდა, როდესაც ხევში გადავარდა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადას ადგილზე მისვლისას მძღოლი დაღუპული დახვდა.

გარდაცვლილი სოფელ პაქსაძეების მკვიდრი იყო. ის გოდერძის უღელტეხილზე გზის გამწმენდ სამუშაოებს ასრულებდა, როდესაც ტრაქტორი ხევში გადაიჩეხა.

– ზუსტად რა მოხდა, არავინ იცის, მაგრამ, ვარაუდობენ, რომ ჩაეძინა, – უთხრა „ბათუმელებს“ გურამ კახაძემ, მერის წარმომადგენელმა სოფელ პაქსაძეებში.

მისივე ინფორმაციით, გარდაცვლილს უკვე ჩაუტარდა ექსპერტიზა ბათუმში, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ნეტანიაჰუს საქმეს ისრაელის უმაღლესი სასამართლო განიხილავს

ცოტა ხნის წინ ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ და მისმა მთავარმა ოპონენტმა გენცმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეროვნული ერთიანობის მთავრობის შექმნის შესახებ.

ამ შეთანხმების თანახმად, გენცმა და ნეტანიაჰუმ მთავრობას რიგრიგობით უნდა უხელმძღვანელონ. შეთანხმება მას შემდეგ დაიდო, რაც ზედიზედ სამი რიგგარეშე არჩევნების შემდეგ ვერც ერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა საკმარისი ხმები მთავრობის შესაქმნელად.

ამავე დროს, ნეტანიაჰუს სახელი კორუფციასთან დაკავშირებულ რამდენიმე სკანდალში ფიგურირებს.

პრემიერ-მინისტრის საქმეზე ვერდიქტი უმაღლესმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს. სწორედ მან უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა იმის თაობაზე, ასეთი ბრალდებების შემდეგ შეუძლია თუ არა ნეტანიაჰუს პრემიერის მოვალეობის შესრულება.

თუ პასუხი უარყოფითი იქნება, ისრაელს მორიგი რიგგარეშე არჩევნები მოელის.

ბორის ჯონსონი: „ექიმები მზად იყვნენ, ჩემი გარდაცვალება გამოეცხადებინათ“

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა მედიასთან კორონავირუსით ავადმყოფობისა და საავადმყოფოში მკურნალობის შესახებ ისაუბრა. ჯონსონის თქმით, ლიტრობით ჟანგბადი დასჭირდა და იმდენად ახლოს იყო სიკვდილთან, ექიმები მზად იყვნენ, მისი გარდაცვალების შესახებ გამოეცხადებინათ. ბორის ჯონსონი კლინიკაში ერთი თვის განმავლობაში მკურნალობდა.

– არ ვიყავი კარგად და ვიცოდი, რომ თუ ყველაფერი ცუდად დასრულდებოდა, ექიმებს ყველაფერი დაგეგმილი ჰქონდათ. იღბლიანი აღმოვჩნდი, საავადმყოფოში მუდმივად იმაზე ვფიქრობდი, როგორ უნდა გამოვმძვრალიყავი ამ მდგომარეობიდან, – აღნიშნა ბორის ჯონსონმა.

ლუკაშენკო 9 მაისის აღლუმის ჩატარებას მაინც აპირებს

– ჩვენ გამარჯვების აღლუმის გაუქმების მიზეზი არ გვაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩვენი ხალხის ჯანმრთელობაზე გავლენას არ მოახდენს.

ამის შესახებ ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა.

მისივე თქმით, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის მინსკი დიდი ხანია ემზადება და „ამ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებას“ ვერ გადადებს.

– იქ არავის ვექაჩებით და ძალით არავის მივათრევთ. დარწმუნებული ვარ, იმის გარეშეც, რომ არ დავაძალოთ, ისედაც ბევრი ხალხი მივა, – აღნიშნა ლუკაშენკომ.

მისივე თქმით, ხალხმა არ უნდა დაიჯეროს, თუ სადმე წაიკითხავენ, რომ ლუკაშენკო გაგიჟდა.

– თუკი სადმე კითხულობთ, რომ ლუკაშენკო ჭკუიდან შეიშალა და ამას აკეთებს, არ მოუსმინოთ, – დასძინა ბელარუსის ლიდერმა.

4 მაისის მონაცემებით, ბელარუსში კორონავირუსის 17.489 შემთხვევაა გამოვლენილი. ვირუსს ქვეყანაში 103 ადამიანი ემსხვერპლა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მინსკი 9 მაისს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გადადებას არ აპირებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ლომის მარტორქის ნაშიერზე თავდასხმა უშედეგოდ დასრულდა

სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნული პარკის თანამშრომლები ძუ ლომის მარტორქის ნაშიერზე თავდასხმის თვითმხილველები გახდნენ. ერთ-ერთი მათგანის მიერ გადაღებული ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბში, პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს მარტორქა და მისი ნაშიერი, რომლებსაც ბუჩქებში ჩასაფრებული ძუ ლომი ელოდება. როდესაც დედა-შვილი გვერდით ჩაუვლის, მტაცებელი უხმაუროდ გამოდის საფარიდან და სავარაუდო მსხვერპლს უკნიდან ეპარება. როგორც კი ლომი ახლო მანძილზე მიუახლოვდება, ის პატარა მარტორქას ზურგზე შეახტება, რის პასუხადაც ცხოველი ჭყვიტინს იწყებს. ამ დროს კადრს მიღმა ქალის შეშინებული წამოძახილიც ისმის: „ოჰ, არა!“ დედა მარტორქა ხმაურზე ტრიალდება იმის გასაგებად, თუ რა ხდება მის ზურგს უკან. ეს ლომს აიძულებს, განზრახვაზე ხელი აიღოს და ცხოველები სხვადასხვა მხარეს გარბიან.

ნიანგმა მეთევზეს უკბინა და თავი დაანება

ავსტრალიის ქალაქ დარვინიდან 580 კილომეტრში, მდინარე გლაიდში, ნიანგი თავს დაესხა მეთევზეს.

23 წლის მამაკაცი წელამდე წყალში იდგა და თევზაობდა. ნიანგი მას უკნიდან მიეპარა და თავს დაესხა. რეპტილიამ მას თეძოზე უკბინა. მეთევზე იმისთვის, რომ ნიანგს წყლის ქვეშ არ ჩაეთრია, გვერდით მდგომ მანგოს ხეს ჩაეჭიდა. საბოლოოდ რეპტილიამ მამაკაცს თავი დაანება და გაშორდა.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელი სიირი ტენოსაარი თვლის, რომ ახალგაზრდა მამაკაცს ძალიან გაუმართლა.

– მას უკნიდან თავს 1,8 მეტრი სიგრძის ნიანგი დაესხა. რაღაც მიზეზით მან მეთევზეს თავი დაანება და გაეცალა. ის ისეთი იღბლიანია, რომ ჯობია, ლატარიის ბილეთი იყიდოს, – განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

მამაკაცი საავადმყოფოში ღრმა ნაიარევით გადაიყვანეს, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თამარ სხირტლაძე 91 წლის გახდა

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი თამარ სხირტლაძე 91 წლის გახდა. იუბილე მსახიობმა მოკრძალებულად, უახლოესი ადამიანების გარემოცვაში აღნიშნა.

თამარ სხირტლაძემ მთელი თავისი ცხოვრება ქართულ თეატრსა და კინოს მიუძღვნა. მეუღლესთან, კოტე თოლორაიასთან ერთად, წლების განმავლობაში მარჯანიშვილის თეატრში მისულ მაყურებელს ანებივრებდა. მას პროფესიაზე უარი ვერც ერთადერთი შვილის, თაზო თოლორაიას გარდაცვალებამ ათქმევინა.

91 წლის უხუცეს მსახიობს დაბადების დღე კოლეგებმა, რეჟისორებმა, რიგითმა მაყურებლებმა და ერთგულმა გულშემატკივრებმა მიულოცეს.

მშობლიურმა მარჯანიშვილის თეატრმა კი თამარ სხირტლაძეს შემოქმედებითი წარმატებები უსურვა:

– პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით გამორჩეულს, ულევი ენერგიის მფლობელს, უნიჭიერეს ადამიანს, საქართველოს სახალხო არტისტს, ქალბატონ თამარ სხირტლაძეს მარჯანიშვილის თეატრი ულოცავს 91 წლის იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წარმატებებს.

გაგა ჩხეიძე მუზეუმების გახსნას ითხოვს

ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი გაგა ჩხეიძე მუზეუმების გახსნას ითხოვს:

– სილამაზისა და ესთეტიკის სალონები და მშენებლობის ბუმი გასაგებია, მაგრამ, რა კარგი იქნებოდა, მუზეუმები რომ იყოს ღია.

ყველაზე მარტივი საქმეა, რეგულაციებიც ადვილი დასაცავია, სიამოვნებით ვივლიდი. დროის დეფიციტი არ მაქვს.

ხალხიც არ მიაწყდება ალბათ. სულიერი საზრდოც გვჭირდებაო, ეკლესია ხომ გვეუბნება?!

თბილისი ოფენ ეარი 2020 ივნისში აღარ ჩატარდება

ფესტივალი თბილისი ოფენ ეარი 2020 დაგეგმილ დროს, ივნისში, აღარ ჩატარდება. ეს გადაწყვეტილება ფესტივალის ორგანიზატორებმა მიიღეს და ათასობით გულშემატკივარსაც გააგებინეს.

ფესტივალის მესვეურების ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ფესტივალის ჩატარების ახალი თარიღი 25 ივნისამდე გახდება ცნობილი.

– ამ ეტაპზე განიხილება ფესტივალის სექტემბრის მეორე ნახევრისთვის გადადება, თუმცა ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. გვაქვს ყოველდღიური კონსულტაციები ევროპის მთავარ ფესტივალებთან და ჩვენ ყველა, არტისტებთან ერთად, ვეცდებით, საუკეთესო გადაწყვეტილება მივიღოთ, – ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

წელს თბილისი ოფენ ეარი 26-28 ივნისს უნდა გამართულიყო.

ირაკლი კაკაბაძე: „მსოფლიო წესრიგი ბუნებრივად იცვლება“

ასე მიაჩნია მწერალ ირაკლი კაკაბაძეს და თავის მოსაზრებას განმარტავს კიდეც:

– დღევანდელმა დღემ აჩვენა, რომ საქართველოში ძალიან კარგი და პროფესიონალი ექიმები გვყავს და – საერთოდ მეცნიერები.

ამავე დროს, დღევანდელმა დღემ აჩვენა, რომ საქართველოში პოლიტიკოსები ყველაზე უნიჭო და არაპროფესიონალი კასტაა, რადგან პოლიტიკოსი არ არის პროფესია – და მათი უმრავლესობა თავის პროფესიაშიც არ ვარგა. ყველაზე ჭკვიანები ისინი არიან, ვინც პროფესიონალ ექიმებს უჯერებს. და მესამე – მინდა ვთქვა ჩვენს ინტელექტუალ პროსტიტუტებზე. ახლა მსოფლიო წესრიგი ბუნებრივად იცვლება, არა რუსეთიდან ან დასავლეთიდან, არამედ სხვა მხრიდან – რა მნიშვნელობა აქვს, საიდან. ჩვენ ყველას ერთი საერთო და დიდი მტერი გვყავს – კოვიდის ვირუსი.

ლევან ბერძენიშვილი და მისი მსგავსი „ლიბერალური ინტელიგენციის'წევრები, რომლებიც ჯერ კგბ-ს იმპლანტები იყვნენ და მერე გადაძვრნენ ჯორჯ სოროსის უკანალში, ვერასდროს იქნებიან ქართველი ერისათვის ავტორიტეტები. ადამიანი, რომელიც „განდეგილისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორს „ნიუ იორკ თაიმსის“ გამოყენებით ლანძღავს 1990-იან წლებში და ამ დროს კომუნისტურ ნომენკლატურასთან ერთად ამხობს ზვიად გამსახურდიას და მერე უკვე ჯორჯ სოროსის ჯიბის ინტელექტუალი ხდება, ვერავითარ ჩემს პატივისცემას ვერ დაიმსახურებს. ის არის ფსევდოყველაფერი და ყველაფერი ნაღდის წინააღმდეგი.

ნაღდი კი ჩემთვის არის „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“, „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“ და კიდევ ბევრი საქმე, რაც ილია ჭავჭავაძემ დაგვიტოვა. ნიუ იორკ თაიმსში ვერ გავლანძღავ ილიას – ილიას მეტი უამრავია გასალანძღი. და ვერც ვერავის ჩაგუთვლი ამას ვაჟკაცობად. და ნუ შეეშინდება ზოგიერთ ჩვენს მეგობარს სიმართლის – მე ვთვლი ლევან ბერძენიშვილსაც და გიგა ბოკერიასაც ინტელექტუალურ ლილიპუტებად სწორედ იმის გამო, რომ ვერ გადასძლიეს თავის პატარაკაცობას და ილია ჭავჭავაძეზე იყარეს ჯავრი მაშინ, როდესაც ილიას მკვლელებს გვერდზე ედგნენ 1992 წლის გადატრიალების დროს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მოთხრობის ავტორმა „როგორ მოვკლა ჩემი ქმარი“ საკუთარი ქმარი მოკლა

ამერიკელი მწერალი ქალი, ავტორი მოთხრობისა „როგორ მოვკლა ჩემი ქმარი“, ნენსი კრემპტონ-ბროფი, საკუთარი მეუღლის, დენ ბროფის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი, რის მიზეზად სადაზღვევო თანხის, მილიონი დოლარის მიღება სახელდება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გამომძიებლებმა გამოარკვიეს, რომ დენ ბროფი ერთადერთი ბენეფიციარი იყო, რომლის სადაზღვევო თანხა 1,15 მილიონ დოლარს შეადგენდა. გარდა ამისა, წყვილს 312 ათასი დოლარის კაპიტალი გააჩნდა.

პროკურორის თქმით, ოჯახს ბოლო წლებში ფინანსური პრობლემები აწუხებდა და, კრემპტონ-ბროფის იმედი ჰქონდა, რომ მეუღლის მოკვლა მისი ქონების ხელში ჩაგდებასა და ფინანსური სტაბილურობის მიღწევაში დაეხმარებოდა. ქალი სახლის გაყიდვასა და სამოგზაუროდ წასვლას გეგმავდა, – ამტკიცებენ გამომძიებლები.

63 წლის დენ ბროფის მკვლელობა 2018 წლის 2 ივნისს მოხდა. მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღიდან სასიკვდილო ჭრილობა პორტლენდში, ორეგონის კულინარიულ ინსტიტუტში მიიღო, სადაც ის ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა. სამი თვის გამოძიების შემდეგ პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილის სტატუსით მოკლულის მეუღლე დააკავა. მწერალ ქალს ასევე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ გამოყენების ბრალდებაც წარედგინა.

კრემპტონ-ბროფი დანაშაულს არ აღიარებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

ქალს დაკარგული ნიშნობის ბეჭედი ლითონისმაძიებლიანმა მამაკაცმა აპოვნინა

მამაკაცი ლითონისმაძიებლით დაეხმარა ქალს ნიშნობის ბეჭდის პოვნაში, რომელიც მან პლაჟზე დასვენების დროს დაკარგა.

ფეისბუქზე გამოქვეყნებულ განცხადებაში კეისი ფაულმა დაიჩივლა, რომ ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი სანტა-ბარბარა ლიდბეტერის პლაჟზე დაკარგა, რომელიც ამერიკის კალიფორნიის შტატში მდებარეობს. ქალის თქმით, მან ბეჭედი თითიდან მოიძრო და შეზლონგზე დატოვა, რათა მზისგან დამცავი საცხი წაესვა. მან ბეჭდის დაკარგვა მხოლოდ მაშინ შენიშნა, როდესაც პლაჟიდან უკვე წამოსული იყო. ფაულმა აღნიშნა, რომ პლაჟზე დაბრუნებულმა ბეჭედი ვეღარ იპოვა.

ქალის განცხადებას ყურადღება მიაქცია მამაკაცმა, სახელად ენტონმა, რომელმაც გადაწყვიტა მას დახმარებოდა. ადგილის ფოტოსურათის, რომელიც მას ფაულმა გაუგზავნა, და ლითონმაძიებლის დახმარებით ენტონმა სწრაფად მიაგნო დაკარგულ ბეჭედს.

– ძალიან მინდოდა მას ჩავხუტებოდი, მაგრამ მხოლოდ ჰაეროვანი მოხვევით შემოვიფარგლეთ. ჩვენ საჭირო მანძილს ვიცავდით, როდესაც მან ჩემი ნიშნობის ბეჭედი გადმომცა, – განაცხადა ფაულმა.

ქალმა ასევე აღნიშნა, რომ ენტონმა სანაცვლოდ ჯილდოს მიღებაზე უარი განაცხადა.

ფიფამ უეფას ახალი ვერსია შესთავაზა

კორონავირუსმა ფეხბურთში უამრავი პრობლემა შექმნა. წლეულს გასამართმა ევროპის ჩემპიონატმა და კოპა ამერიკამ საგაისო კალენდარში გადაინაცვლა. შესაბამისად, გაურკვეველი ვადით გადაიდო მომავალი წლის ზაფხულში ჩინეთში გასამართი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, რომლის

ახალმა ფორმატმა მკვეთრად გაზარდა მოლოდინი. ჯერაც გაურკვეველი ვადით არის გადადებული ევროპის ქვეყნების ჩემპიონატები.

აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ მსოფლიო ფეხბურთში სერიოზული რეფორმა განხორციელდეს. ფიფა ამის შესახებ ღიად საუბრობს. საქმე ეხება ევროპული და აფრიკული ფეხბურთის გაზაფხული-შემოდგომის ფორმატზე გადასვლას.

ახალ, გაზაფხული-შემოდგომის ფორმატზე გადასვლა, ფაქტობრივად, ბოლომდე მოაგვარებს კიდევ ერთ უხერხულობას. საქმე ეხება ყატარის 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელიც 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრამდე უნდა გაიმართოს. მუნდიალის წელიწადის ამ დროს ჩატარება სიახლეა და ეს ურთულეს კალენდარულ პრობლემებს შეუქმნიდა ევროპული ქვეყნების ჩემპიონატებს. აქედან გამომდინარე, ფიფა და უეფა მოლაპარაკების მაგიდას მაინც მიუსხდებოდნენ.

რაც მთავარია, გადასარჩენია წლევანდელი სეზონიც: ჩემპიონატები, ევროთასები, სანაკრები ფანჯრები. ახალ ფორმატზე დაუყოვნებლივ გადასვლა საშუალებას იძლევა, აუჩქარებლად, ზედმეტად მჭიდრო ვადების გარეშე ჩამთავრდეს მიმდინარე საფეხბურთო წელიწადი, გაზაფხულიდან კი სულ სხვა საფეხბურთო ცხოვრება დაიწყოს.

ფიფას აზრით, თუ ახალ სისტემას ყველა მიემხრობა, ძალაში, სულ მცირე, 2024 წლამდე დარჩება და შემდეგ შედეგებიდან გამომდინარე გადაისინჯება.

თუმცა არის ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც, შესაძლოა, ფიფას ახალი იდეის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე გამოდგეს. ეს არის ეკონომიკური ფაქტორი – უკვე მოქმედი კონტრაქტები, წინასწარ გადახდილ-გახარჯული მილიარდები და ა.შ.

ამ შემთხვევისთვის ფიფამ უკანდასახევი გზა დაიტოვა. შესაძლოა ძველი სისტემის დატოვება, თუ მომავალი სეზონი არა სექტემბერში, არამედ დეკემბერში ან სულაც ნაახალწლევს დაიწყება.

ჭიდაობის ფედერაციამ ოლიმპიური ლიცენზიების ტურნირები დაგეგმა



ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანებამ გადავადებული ტოკიოს ოლიმპიური თამაშების კონტინენტურ შესარჩევ ასპარეზობათა მასპინძლებად უნგრეთი, მაროკო და ჩინეთი დატოვა.

დღესდღეობით, ტოკიოს თამაშებისთვის გაცემული საგზურების ნახევარია: თითოეულ წონაში 6 ლიცენზია შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატებზე გათამაშდა, 2 – პანამერიკულ საკვალიფიკაციო ტურნირებზე.

გაისად მარტში დაგეგმილ აფრიკა-ოკეანიის გაერთიანებულ საკვალიფიკაციო ტურნირს უმასპინძლებს მაროკოს ელ-ჯადიდა, ხოლო ბუდაპეშტში ევროპის კონტინენტის საგზურები გათამაშდება. აზიის კონტინენტურ საკვალიფიკაციოს ჩინეთის სიანი მიიღებს, როგორც ეს თავიდანვე იყო კალენდარში ჩანიშნული.

აღსანიშნავია, რომ თებერვალში შესარჩევი შეჯიბრების სიანიდან ბიშკეკში გადატანა გადაწყდა, მაგრამ, კოვიდ 19-ის პანდემიაში გადაზრდის გამო, საკვალიფიკაციო ტურნირი უზბეკეთშიც გაუქმდა, ახლა კი, ოლიმპიური თამაშების გადავადების შემდეგ, პირვანდელ მასპინძელს დაუბრუნდა.

კონტინენტური ასპარეზობების შემდეგ, აპრილში, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაიმართება მსოფლიოს საკვალიფიკაციო ასპარეზობა, სადაც ტოკიოს თამაშების დარჩენილი საგზურები გათამაშდება – თითოეულ წონაში 2-2 საგზური.

ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების ცნობით, ძირითადი წესები და პრინციპები იგივე დარჩა. ერთადერთი ცვლილება მოჭიდავის ასაკს უკავშირდება. კერძოდ, ათლეტებს, რომლებიც 2021 წელს 18 წლის გახდებიან, საკვალიფიკაციო ტურნირებსა და ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლის უფლება მიეცემათ.

როგორც ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანება გვამცნობს, ჭიდაობაში ტოკიო 2020-ის საკვალიფიკაციო სისტემას მხარს უჭერს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭო.

2019 წლის სექტემბერში ნურსულთანში (ყაზახეთი) გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოლიმპიურ ლიცენზიას დაეუფლა 4 ქართველი ფალავანი: ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში – გიორგი მელია (97 კგ) და იაკობ ქაჯაია (130 კგ); თავისუფალ ჭიდაობაში – ელიზბარ ოდიკაძე (97 კგ) და გენო პეტრიაშვილი (125 კგ).

ილიას ზუროსმა ნაკრების მწვრთნელებს სემინარი ჩაუტარა

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და მწვრთნელთა კავშირის ორგანიზებით, ქართველი მწვრთნელებისთვის პერიოდულად ონლაინსემინარები იმართება. ერთ-ერთი კონფერენციის სტუმარი გახლდათ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი, რომელმაც ქართველ მწვრთნელებს საკმაოდ საინტერესო და პროდუქტიული სემინარი ჩაუტარა.

ილიას ზუროსი კონფერენციაში საბერძნეთიდან ჩაერთო და დაახლოებით 2 საათის განმავლობაში ძირითადად დაცვით სისტემებზე, ამ კომპონენტში საკუთარ მსოფლმხედველობაზე ისაუბრა. კონფერენციაში სრული შემადგენლობით ჩაერთვნენ საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრები: ჯორჯ ლიმნიატისი, მილოშ გლიგორიევიჩი, ჯორჯ ვავეცისი, ანატოლი ბოისა, მანუჩარ მარკოიშვილი, ირაკლი შიოშვილი.

კონფერენციაში, მთლიანობაში, 60-ზე მეტი მონაწილე ჩაერთო, მსმენელთა ძირითად ბირთვს კი სუპერლიგისა და საკალათბურთო სკოლების ახალგაზრდა მწვრთნელები შეადგენდნენ, რომლებმაც საკმაოდ აქტიური მონაწილეობა მიიღეს საკალათბურთო თემებზე მსჯელობაში და ეროვნული ნაკრების მწვრთნელს არაერთი საინტერესო კითხვა დაუსვეს.

ილიას ზუროსი კმაყოფილი დარჩა ონლაინკონფერენციითა და ახალგაზრდა მწვრთნელთა პროფესიული აქტიურობით. ბერძენმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ ეროვნული ნაკრების კარი ნებისმიერი მწვრთნელისთვის ღიაა, რომლებსაც შეუძლიათ, ვარჯიშებს დაესწრონ და მათი დასრულების შემდეგ ეროვნული ნაკრების მწვრთნელებთან მათთვის საინტერესო დეტალებზე პირადად გაისაუბრონ.

ცხადია, საკალათბურთო თემები ბევრისმომცველია, რომლებზე საუბარიც შემდეგ ონლაინშეხვედრებისას წარიმართება. შემდეგი სემინარი მიმდინარე კვირაში იგეგმება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მძღოლი ქალი ფუტკრების გუნდმა შეაშინა

ინგლისის უესტ-მიდლენსის საგრაფოს ქალაქ ბირმინჰემის გარეუბნის მკვიდრმა ქალბატონმა ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ მოიქციეს ალყაში მისი ავტომობილი მწერების უზარმაზარმა გუნდმა. ფუტკრებმა ასიუ ხატუნი იმ დროს მოიქციეს ალყაში, როდესაც ის მანქანით მიდიოდა.

– თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ისინი პატარა ჩიტები იყვნენ, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ისინი უზარმაზარ კრაზანებს ჰგავდნენ, – განაცხადა ქალმა.

მწერების გუნდში გავლის შემდეგ ქალი შეტრიალდა, რათა ყურადღებით შეეთვალიერებინა მწერები, რომელთა რაოდენობა იმ მომენტისთვის კიდევ უფრო გაიზარდა. ქალმა მანქანა გზის პირას გადააყენა და ტელეფონით მათი გადაღება დაიწყო. შემდეგ მწერებმა ერთ-ერთ სახლთან გადაინაცვლეს.

– ეს საშინელება იყო. ძალიან განვიცდიდი იმას, რომ იქ შესაძლოა ფანჯრები ყოფილიყო ღია, ბავშვებს კი ეზოში ეთამაშათ, – ამბობს ხატუნი.

მავნებლებთან ბრძოლის ბრიტანეთის ასოციაციის წარმომადგენლის თქმით, სავარაუდოდ, ისინი არა კრაზანები, არამედ ფუტკრები იყვნენ, ვინაიდან კრაზანები გუნდებად არ იკვრებიან. ამასთან მან ასევე აღნიშნა, რომ ვიდეოს დაბალი ხარისხის გამო, მწერების იდენტიფიცირება ვერ ხერხდება.

დედა შვილის საჩუქარმა მილიონერად აქცია

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ჩარტერს-ტაუერსის მკვიდრმა ქალბატონმა დედის დღის აღსანიშნავად ქალიშვილისგან საჩუქრად ლატარიის ბილეთი მიიღო და მოულოდნელად მილიონერი გახდა. ქალიშვილმა დედას ლატარიის ბილეთი დედის დღის წინა დღეს გაუგზავნა. გათამაშება შაბათს შედგა. მალე გოგონამ გაიგო, რომ მომგებიანი ბილეთი სწორედ იმ მაღაზიაში გაიყიდა, რომელშიც ლატარიის ბილეთი თავად ჰქონდა შეძენილი.

– ქალიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ დაუყოვნებლივ შემემოწმებინა ჩემი ბილეთი, – იხსენებს დედა, – მე ვუპასუხე, რომ გამარჯვებული მე არ ვიქნებოდი, თუმცა გათამაშების შედეგები მაინც შევამოწმე.

აღმოჩნდა, რომ შვილის საჩუქარმა ქალს 1,98 მილიონი ავსტრალიური დოლარის მოგება მოუტანა. მას იმედი აქვს, რომ ეს მოგება კორონავირუსის პანდემიის გამო დაზარალებული ოჯახური ბიზნესის შენარჩუნებაში დაეხმარება.

– ეს ფულადი პრიზი, ეჭვგარეშეა, ჩვენი ოჯახური ბიზნესის გადარჩენაში დაგვეხმარება, – ხაზგასმით აღნიშნა ავსტრალიელმა ქალბატონმა, – ხოლო როდესაც მსოფლიოში მდგომარეობა გამოსწორდება და ყველაფერი დალაგდება, შვებულების აღება დამჭირდება. ასე რომ, თანხის ნაწილს ამისთვის გადავინახავ.

ქალმა მომაკვდავი მეუღლის გამო ნაადრევი მშობიარობა გადაწყვიტა

ინგლისის ქალაქ ბირმინჰემის მცხოვრებმა ქალმა გადაწყვიტა, ნაადრევად იმშობიაროს, რათა მისმა მომაკვდავმა ქმარმა შვილის სიკვდილის წინ საკუთარი თვალით იხილოს.

38 წლის ფიზიკულტურის მასწავლებელი და ფეხბურთის მწვრთნელი ჯეიმი ჰანტერი ბედნიერი იყო, როდესაც გასულ წელს თავისი შეყვარებულის ბეკი ფლინტის ფეხმძიმედ ყოფნის ამბავი შეიტყო, მაგრამ გასული წლის ოქტომბერში მან გვერდში ტკივილები იგრძნო და სამედიცინო დახმარებისთვის ექიმებს მიმართა. მიმდინარე წლის მარტში მას თირკმლის კიბო დაუდგინეს.

აპრილში მას ექიმებმა აცნობეს, რომ კიბო ღვიძლზეც გავრცელდა და განუკურნებელ სტადიაში შევიდა. ამის შედეგად ფლინტმა და ჰანტერმა გადაწყვიტეს, რომ ბავშვი ნაადრევად, 10 მაისს გააჩინონ, რათა ჰანტერმა მისი ნახვა მოასწროს.

– ჯეიმი ვერასოდეს შეძლებს თავისი შვილის დაბადების დღის აღნიშვნას, მისთვის წყალში ცურვის, ველოსიპედის ტარების სწავლას. ვერ იქნება მის გვერდით, როდესაც ბავშვი პირველად წავა სკოლაში. ბეკიმ შესაძლოა ბავშვი მის გარეშეც კი გააჩინოს, ვინაიდან ჰანტერის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, – დაწერა ჰანტერის საუკეთესო მეგობარმა ფილ ტეილორმა, რომელმაც ოჯახის დასახმარებლად კრაუდფანდინგური კომპანია წამოიწყო. ამ დროისთვის საჭირო 100 ათასი ფუნტი სტერლინგიდან, მან უკვე ნახევარი თანხის შეგროვება მოახერხა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბრიტანეთის ნაწილი; 2. ხეობა კახეთში; 3. ისრაელის დაზვერვა; 4. ესპანური სპორტული გაზეთი; 5. ლომების ჯოგი; 11. პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა, მონოლოგი; 12. შტატი აშშ-ში; 14. ისტორიული ციხესიმაგრე ძველ თბილისში; 16. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 17. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. კვიპროსის დედაქალაქი; 21. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 22. იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

თარაზულად: 6. მდინარე აშშ-სა და მექსიკაში; 7. ელექტრონული ძრავის უძრავი ნაწილი; 8. მავნებელი მწერი; 9. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 10. სამხედრო იარაღის მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. ჩეხი მხედართმთავარი, ეროვნული გმირი; 15. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 18. ფრანგი მოდელიორი; 20. უბანი თბილისში; 21. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 23. საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი; 24. სამურაების მეთაური.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გელათი; 2. გენი; 3. გერიატრია; 4. დიქტი; 5. დარჯაკი; 8. დიზელი; 9. დარბაზობა; 12. ბაიათი; 14. ბორნეო; 16. ომეგა.

თარაზულად: 1. გარპაგონი; 6. გეორგიკა; 7. ლონდონი; 9. დოლიძე; 10. ჯიდა; 11. მერკური; 13. ტიბრი; 15. კაზინო; 17. ფაიზერი; 18. საირმე; 19. სოკერი; 20. პალანგა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კატალონია; 2. აზურიტი; 3. კასიკი; 4. ბახში; 5. ინტერი; 11. დოკერი; 12. ტაპირი; 14. ქოცო; 16. ნიაგარა; 17. იმპულსი; 19. სევილია; 21. შოუდუ; 22. კათხა.

თარაზულად: 6. მალვაზია; 7. დიაფანი; 8. შპრეე; 9. პლზენი; 10. კლოდი; 13. ციცქა; 15. ანტვერპენი; 18. ფიპრესი; 20. მოკო; 21. შალახო; 23. საქართველო; 24. სლაიდი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1923

ევრო — 3.5048

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 4.0076

100 რუსული რუბლი — 4.2341

ამინდის პროგნოზი 5 მაისისთვის

უცნობმა ახალი გადაცემა დაიწყო

მომღერალმა და მსახიობმა გია გაჩეჩილაძემ, იმავე უცნობმა, ახალი გადაცემა დაიწყო.

„უცნობის კიდობანი“ – ასე ეწოდება ხელოვანის საავტორო გადაცემას, რომელიც ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით რადიო „უცნობზე“ გავა და ყველა იმ საინტერესო და აქტუალურ საკითხს შეეხება, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია.

გია როინიშვილი ხელისუფლებას აკრიტიკებს

მსახიობი გია როინიშვილი ხელისუფლებას აკრიტიკებს:

– ვუსმინე მიყოლებით ხელისუფლების მოლაპარაკე თავებს. ჯერ რა მდაბიო ენით ლაპარაკობთ?! ლინგვისტიკასა და აქცენტს არ ვგულისხმობ, და მთავარი: რა გამწარებულ-შეშინებულ-გადარეულები ხართ სხვა ქვეყნის გადაწყვეტილებებით, საკუთარი ქვეყანა თავზე გექცევათ!...

ხვალ და ზეგ საერთოდ მოგეჭრებათ ეგ თავები გარკვეული შედეგების გამოცხადებით, არ დავკონკრეტდები! თუმცა სად გაქვთ თავები?!

აჩი ფურცელაძემ თბილისს სიმღერა მიუძღვნა

მომღერალმა აჩი ფურცელაძემ ახალი სიმღერა დაწერა და ის თბილისს მიუძღვნა.

სიმღერისა და ტექსტის ავტორი თავად აჩია და ახალი ნამუშევრის პრემიერა მან სოციალურ ქსელში გამართა.

თვითიზოლაციაში მყოფმა მომღერალმა ათასობით მსმენელისთვის პირდაპირ ეთერში შეასრულა სიმღერა, რომელიც თბილისსა და მასზე შეყვარებულ ადამიანებს მიუძღვნა.

აჩი ფურცელაძის ნამუშევარი ბევრმა მოიწონა და მომღერლის მისამართით არც საქებარი სიტყვები დაიშურა.

გიორგი პაპკიაური: „ისევ ის არის მშიერი, ვინც მანამდეც მშიერი იყო“

აცხადებს მომღერალი გიორგი პაპკიაური და მთავრობას ღიად აკრიტიკებს:

– მთავრობის გადაწყვეტილებით, ისევ ის არის მაძღარი, ვინც მანამდეც მაძღარი იყო და ისევ ის არის მშიერი, ვინც მანამდეც მშიერი იყო.

ანუ ვინც მუშაობდა, ჭამს და, ვინც ხელშეკრულების გარეშე მუშაობდა, ვერ ამტკიცებს, რომ მუშაობდა, მშიერი კვდება!

საქართველოს მთავრობა, ხო და თქვენი უტვინო დედა მოვ..ან მე!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ანეკდოტი

ქმარი ცოლს ეუბნება:

– გახსოვს, ხუთი წლის წინ როგორი ბედნიერები ვიყავით?

– რას ამბობ, კაცო, ხუთი წლის წინ ხომ ერთმანეთს არც კი ვიცნობდით!

– ჰოდა, მეც მაგას არ ვამბობ?!

•••

საწოლში ქალი კაცს ეუბნება:

– არ დამზოგო, გივი, მიდი, არ დამზოგოოო...

– ქალო, რაც შემიძლია, გიშვრები და ახლა აგურს ვერ გთხლიშავ თავში...

•••

სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი ეკითხება:

– სად დაეთრეოდი მთელი ორი კვირა, შე საზიზღარო?!!

– ძვირფასო, არ დამიჯერებ და გიგისთან ვიყავი, მან დააცემინა და ორი კვირით კარანტინში აღმოვჩნდით.

•••

ერთი თანამშრომელი მეორეს ეუბნება:

– ახლა უფროსთან ვიყავი და ორი ახალი ამბავი მაქვს, ცუდი და კარგი. რომლით დავიწყო?

– ცუდით.

– სამსახურიდან გამათავისუფლეს.

– ვაი! და კარგი რომელია?

– შენც გაგათავისუფლეს!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ადრე ნიღბებით მხოლოდ დღესასწაულზე, საახალწლო კარნავალზე დავდიოდით, ახლა კი ქუჩაში, მაღაზიაში – ყველგან ნიღბით დავდივართ...

– ამით იმის თქმა გინდა, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება კარნავალად იქცა?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იტალიაში გუნდები ვარჯიშს მალე დაუბრუნდებიან

იტალიაში კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვების შემცირება იწყება და ეს ფეხბურთსაც შეეხო.

იტალიაში საფეხბურთო გუნდები სულ მალე დაიწყებენ ვარჯიშს, თუმცა მათ მაინც მოუწევთ გარკვეული წესების დაცვა. ჯერჯერობით არ არის საუბარი იმაზე, რომ სეზონი განახლდეს და თამაშები დაიწყოს, თუმცა არც სეზონის ანულირება მომხდარა.

იტალიის სპორტის მინისტრის აზრით, უსაფრთხოებისთვის უმჯობესი იქნება, თუ სეზონი არ განახლდება.

ვილიანს ჩელსიდან წასვლა სურს

ლონდონის ჩელსიში ზაფხულში რამდენიმე ცვლილება იქნება და ერთ-ერთი, შესაძლოა, ბრაზილიელ ვილიანს შეეხოს, რომელსაც ერთ წელიწადში ჩელსისთან კონტრაქტი უმთავრდება.

ჯერჯერობით ბრაზილიელს ჩელსისთან ახალი კონტრაქტი არ გაუფორმებია და ამის გაკეთებას არც აპირებს.

ვილიანი კარიერას, სავარაუდოდ, არსენალში ან ტოტენჰემში გააგრძელებს და ბრაზილიელი ნახევარმცველი ინგლისიდან წასვლას არ განიხილავს.

მხითარიანს რომაში დარჩენა უნდა

იტალიური რომას ნახევარმცველ ჰენრიხ მხითარიანს არსენალში დაბრუნება არ სურს და რომაში დარჩენა უნდა, მიუხედავად იმისა, რომ რომაში გაცილებით ნაკლები ხელფასი აქვს.

პრობლემა მხოლოდ რომაშია, რომელსაც არ სურს მხითარიანის ტრანსფერში 20 მილიონის გადახდა და მხოლოდ 10 მილიონით შემოიფარგლება, ეს თანხა კი, თავის მხრივ, არსენალს არ აკმაყოფილებს.

ჯერ კიდევ უცნობია, მოახერხებენ თუ არა მხარეები ერთმანეთში მოლაპარაკებას.

პატრის ევრა: „სუარესისთვის არ მიპატიებია“

მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილმა ფეხბურთელმა პატრის ევრამ ის ინციდენტი გაიხსენა, როდესაც ლივერპულთან შეხვედრის დროს მას სუარესმა რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყოფა მიაყენა.

ევრას თქმით, სუარესს მისთვის ბოდიშიც არ მოუხდია:

– სუარესისთვის არ მიპატიებია, რადგან მან ბოდიშიც არ მოიხადა. ჩემთვის პატიება რომ ეთხოვა, ამ ინციდენტს საერთოდ დავივიწყებდი. მის მიმართ ისეთივე გრძნობები მაქვს, როგორიც ადრე.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ბრიტნი სპირსის სახლში ვარჯიში დაცინვის საგნად იქცა

ამერიკელმა პოპშემსრულებელმა ბრიტნი სპირსმა ეროტიკულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ივარჯიშა სახლში და ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღო, რომელიც შემდეგ ინსტაგრამში, საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

ცნობილი მომღერალი ვარჯიშებს შავი ფერის სპორტულ ტოპსა და ნაცრისფერ მოკლე შარვალში გამოწყობილი ასრულებს. ვიდეოზე ჩანს, რომ ის სხვადასხვა ვარჯიშს ასრულებს, ბუქნებს ხელში ჰანტელებით, აზიდვებს, მკლავების ვარჯიშებსა და ასევე – სხეულის გაჭიმვით მოძრაობებს.

ვიდეოს კომენტარში ბრიტნიმ დაწერა, რომ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში პირველად შევიდა საკუთარ სავარჯიშო დარბაზში.

– კინაღამ ხანძარი გამიჩნდა, კიდევ კარგი, სიგნალიზაციამ იმუშავა და არავინ დაშავებულა. ჰანტელები ერთადერთია, რომლებიც გადარჩა, – დაწერა სპირსმა და იქვე განმარტა, რომ ხანძრის გაჩენის მიზეზი დეკორატიული სანთლები გახდა.

მომღერლის ვარჯიშმა და მისმა კომენტარმა კი მისი თაყვანისმცემლები გაამხიარულა და ნაწილის დაცინვის ობიექტადაც იქცა.

– მეც ვეუბნები ყველას, რომ საკუთარი სპორტდარბაზი დავწვი, რათა აღარ ვივარჯიშო! – დაწერა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– ჰოო, საკუთარ სპორტდარბაზს ცეცხლი წავუკიდე! ახალი სინგლეს სათაურივით ჟღერს, – იუმორით შენიშნა მესამემ.

– ძალიან სასაცილოა! მე შენ მიყვარხარ! – დაწერა მესამემ.

ასტროპროგნოზი

5 მაისისთვის

ვერძი – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **ღრიანკალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. სტადიონი მეხიკოში; 2. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 3. ბრუნვის სიჩქარის საზომი ხელსაწყო; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ერაყის ნავსადგური; 5. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 8. ზომიერი კლიმატური სარტყლის სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 9. არაკეთილსმოვანება მუსიკაში; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 16. იაპონიაში ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი.

თარაზულად: 1. სახლის ზედა ნახევარსართული; 6. ფინური ხალხური ეპოსი; 7. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 9. ქალის გულზე საკიდი სამკაული; 10. საქონლის ჩლიქებისა და ფაშვისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 11. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 13. პურეული მცენარე; 15. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 17. მინაზე ან გამჭვირვალე ქსოვილზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 18. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 19. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 20. ორცოლიანობა, ორქმრიანობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა